პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 1-2 (14-15) ნოემბერი 1948 წ.

## შინაარსი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

(გვ. 3—12)

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

2. „საქართველოს სსრ გარდაბნის რაიონის დაბა რუსთავის ქალაქ რუსთავად გარდაქმნის თაობაზე“ გამოცემული ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის $196^2$ მუხლისა და ამავე კოდექსის დანართის — „სამხედრო დანაშაულთა დებულების“ 25 მუხლის „ა“ პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე გამოცემული ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

4. საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის თაობაზე გამოცემული ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ.

5. ამხ. გ. თ. სტურუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

6. ამხ. ვ. ბ. გოგუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

7. ამხ. ვ. ბ. გოგუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

8. ამხ. ა. ა. გიგოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

9. ამხ. ნ. ვ. ეგოროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

10. ამხ. ვ. დ. ბუჯიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

11. ამხ. მ. დ. წინამძღვრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

12. ამხ. ფ. პ. ქიტნიკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

(გვ. 13—64)

13. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

14. ხაშურის რაიონის გომისა და გორის რაიონის მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოების მი-
შობის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

15. ახალციხის რაიონის ქისათიბის სასოფლო საბჭოს გადარქმევის შესახებ.

16. საქართველოს სსრ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელ მონასტრის და მონასტრის სასოფლო საბჭოს სახელის შეცვლის შესახებ.

17. გურჯაანის რაიონში სამამულო ომის ინვალიდების, სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და მათი საყოფაცხოვრებო მოწყობის შესახებ.

18. ქალაქ ფოთის საზღვრების დადგენის შესახებ.

19. საქართველოს სსრ ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს დაბად გარდაქმნის შესახებ.

20. საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებათა და მათ თანამდებობის პირთა უცხოეთის სახელმწიფოების დაწესებულებებთან და თანამდებობის პირებთან ურთიერთობის წესის შესახებ.

21. ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის „სამხრეთ-აღმოსავლეთი" შახტისათვის ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ.

22. საქართველოს სსრ აფხაზეთის ასსრ ზოგიერთი სოფლისა და სასოფლო საბჭოს გადარქმევისა და სოფლების გაერთიანების შესახებ.

23. საქართველოს სსრ აჭარის ასსრ ზოგიერთი სოფლისა და სასოფლო საბჭოს გადარქმევისა და სოფლების გაერთიანების შესახებ.

24. მრავალშვილიან დედათა ჯილდოზე წარდგენის მდგომარეობის შესახებ.

25. საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ.

26. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

27. აბაშის ჰიდროელექტროსადგურის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

28. საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ.

29. ხელოვნების მუშაკთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

30. დიმიტრი მიხეილის-ძე კოსარიკისა და ათანასე ლუკას-ძე მალიარის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

## 1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების თანახმად მიღებული ცვლილებებით, შემოსავლის ნაწილში—2.339.652 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში—2.331.382 ათასი მანეთი—გასავალთან შედარებით შემოსავლის 8.270 ათასი მანეთის გადამეტებით და ამის გარდა საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1949 წლის 1 იანვრისათვის—70.009 ათასი მანეთის ოდენობით.

2. ამ კანონის 1 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1948 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგ თანხებში: შემოსავალი 2.050.199 ათასი მანეთი, გასავალი 1.043.437 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების სახსრების გასაძლიერებლად ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 998.492 ათასი მანეთი—გასავალთან შედარებით შემოსავლის 8.270 ათასი მანეთის გადამეტებით და ამის გარდა საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1949 წლის 1 იანვრისათვის 30.874 ათასი მანეთი.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1948 წლის ბიუჯეტები შემდეგ თანხებში (ათას მანეთობით):

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | შემოსავალი | მათ შორის | | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1949 წ. 1/I-სათვის |
|---|---|---|---|---|---|
| | | ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | | |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . . . . . | 142.629 | 114.182 | — | 142.629 | 4.401 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . . . . . . . . | 106.980 | 80.255 | — | 106.980 | 3.220 |
| 3. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი . . . . . . . . | 56.486 | 37.356 | 14.868 | 56.486 | 1.720 |
| 4. ქალაქი თბილისი . . . . | 249.352 | 159.544 | — | 249.352 | 7.348 |
| 5. ქალაქი ქუთაისი . . . . . . | 40.527 | 25.198 | — | 40.527 | 1.236 |
| 6. ქალაქი ფოთი . . . . . | 16.173 | 10.690 | — | 16.173 | 499 |
| 7. ქალაქი ჭიათურა . . . . . | 9.166 | 6.791 | — | 9.166 | 294 |
| 8. ქალაქი რუსთავი . . . . . | 3.397 | 3.368 | — | 3.397 | 103 |
| 9. აბაშის რაიონი . . . . . . | 10.466 | 8.073 | — | 10.466 | 314 |
| 10. ადიგენის რაიონი . . . . | 7.526 | 4.059 | 1.540 | 7.526 | 306 |
| 11. ამბროლაურის რაიონი . . . | 11.376 | 9.851 | — | 11.376 | 353 |
| 12. ასპინძის რაიონი . . . . . | 5.862 | 2.445 | 2.451 | 5.862 | 256 |
| 13. ახალქალაქის რაიონი . . . | 15.345 | 12.839 | — | 15.345 | 463 |
| 14. ახალციხის რაიონი . . . . | 14.350 | 10.235 | — | 14.350 | 448 |
| 15. ახმეტის რაიონი . . . . . . | 8.620 | 7.805 | — | 8.620 | 260 |
| 16. ბოგდანოვკის რაიონი . . . | 7.465 | 6.047 | — | 7.465 | 240 |
| 17. ბოლნისის რაიონი . . . . . | 9.452 | 7.668 | — | 9.452 | 285 |
| 18. ბორჯომის რაიონი . . . . | 13.122 | 9.852 | — | 13.122 | 403 |
| 19. გარდაბნის რაიონი . . . . | 5.618 | 4.967 | — | 5.618 | 169 |
| 20. გეგეჭკორის რაიონი . . . . . | 15.446 | 9.516 | 4.462 | 15.446 | 466 |
| 21. გორის რაიონი . . . . . . . | 27.299 | 23.814 | — | 27.299 | 853 |
| 22. გურჯაანის რაიონი . . . . | 11.821 | 8.746 | — | 11.821 | 360 |
| 23. დმანისის რაიონი . . . . . | 9.752 | 6.763 | 1.237 | 9.752 | 294 |
| 24. დუშეთის რაიონი . . . . . . | 13.399 | 8.621 | 2.270 | 13.399 | 403 |
| 25. ვანის რაიონი . . . . . . . | 11.025 | 10.509 | — | 11.025 | 329 |
| 26. ზემო-სვანეთის რაიონი . . . | 6.937 | 2.785 | 3.087 | 6.937 | 214 |
| 27. ზესტაფონის რაიონი . . . . | 16.418 | 13.013 | — | 16.418 | 502 |
| 28. ზუგდიდის რაიონი . . . . . | 24.660 | 19.383 | — | 24.660 | 756 |
| 29. თბილისის რაიონი . . . . . | 12.799 | 10.742 | — | 12.799 | 386 |
| 30. თეთრიწყაროს რაიონი . . . | 11.955 | 9.079 | — | 11.955 | 361 |
| 31. თელავის რაიონი . . . . . | 18.824 | 13.863 | — | 18.824 | 587 |
| 32. თიანეთის რაიონი . . . . . | 5.834 | 4.292 | 870 | 5.834 | 170 |
| 33. კასპის რაიონი . . . . . . | 12.818 | 10.411 | — | 12.818 | 385 |
| 34. კაჭრეთის რაიონი . . . . . | 6.889 | 5.805 | — | 6.889 | 208 |
| 35. ლაგოდეხის რაიონი . . . . | 12.667 | 9.683 | — | 12.667 | 384 |
| 36. ლანჩხუთის რაიონი . . . . . | 12.013 | 10.414 | — | 12.013 | 368 |
| 37. მაიაკოვსკის რაიონი . . . . | 9.039 | 7.229 | — | 9.039 | 273 |
| 38. მარნეულის რაიონი . . . . | 12.228 | 10.244 | — | 12.228 | 368 |
| 39. მახარაძის რაიონი . . . . . | 24.020 | 19.636 | — | 24.020 | 728 |
| 40. მცხეთის რაიონი . . . . . | 9.012 | 7.645 | — | 9.012 | 271 |
| 41. ონის რაიონი . . . . . | 10.315 | 6.112 | 2.598 | 10.315 | 311 |
| 42. ორჯონიკიძის რაიონი . . . | 10.865 | 8.410 | 1.091 | 10.865 | 328 |
| 43. საგარეჯოს რაიონი . . . . | 9.222 | 8.353 | — | 9.222 | 276 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | შემოსავალი | მათ შორის | | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1949 1/I-სათვის |
|---|---|---|---|---|---|
| | | ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | | |
| 44. სამტრედიის რაიონი . . . . | 16.286 | 13.764 | — | 16.286 | 492 |
| 45. საჩხერის რაიონი . . . . . | 10.126 | 7.451 | 1.448 | 10.126 | 305 |
| 46. სიღნაღის რაიონი . . . . . | 14.539 | 11.010 | — | 14.539 | 452 |
| 47. ტყიბულის რაიონი . . . | 11.101 | 8.598 | — | 11.101 | 341 |
| 48. ქარელის რაიონი . . . . . | 10.749 | 9.870 | — | 10.749 | 317 |
| 49. ქვემო სვანეთის რაიონი . . . | 5.021 | 1.818 | 2.500 | 5.021 | 146 |
| 50. ქლუხორის რაიონი . . . . | 11.525 | 5.078 | 4.669 | 11.525 | 347 |
| 51. ქუთაისის რაიონი . . . . . | 9.206 | 7.936 | — | 9.206 | 278 |
| 52. ყაზბეგის რაიონი . . . . . | 5.351 | 3.278 | 1.521 | 5.351 | 162 |
| 53. ყვარლის რაიონი . . . . . | 9.502 | 7.493 | 296 | 9.502 | 296 |
| 54. ჩოხატაურის რაიონი . . . . | 11.037 | 8.393 | 1.808 | 11.037 | 340 |
| 55. ჩხარის რაიონი . . . . . . | 7.687 | 5.650 | 1.228 | 7.687 | 234 |
| 56. ჩხოროწყუს რაიონი . . . . . | 8.560 | 5.386 | 2.302 | 8.560 | 256 |
| 57. ცაგერის რაიონი . . . . . . | 8.886 | 5.613 | — | 8.886 | 268 |
| 58. ცხაკაიას რაიონი . . . . . | 15.962 | 11.172 | — | 15.962 | 491 |
| 59. წალენჯიხის რაიონი . . . . | 8.861 | 6.126 | 2.240 | 8.861 | 267 |
| 60. წალკის რაიონი . . . . . . | 12.551 | 8.887 | 2.478 | 12.551 | 381 |
| 61. წითელწყაროს რაიონი . . . | 8.543 | 6.520 | — | 8.543 | 255 |
| 62. წულუკიძის რაიონი . . . . | 12.090 | 8.900 | 1.498 | 12.090 | 356 |
| 63. წყალტუბოს რაიონი . . . . | 7.828 | 6.383 | — | 7.828 | 231 |
| 64. ჭიათურის რაიონი . . . . . | 9.181 | 7.910 | — | 9.181 | 286 |
| 65. ხაშურის რაიონი . . . . . | 16.156 | 11.299 | — | 16.156 | 496 |
| 66. ხობის რაიონი . . . . . . | 8.028 | 6.615 | 590 | 8.028 | 239 |
| ს უ ლ . . . . . . . | 1287945 | 941.443 | 57.049 | 1287945 | 39.135 |

4. დაწესდეს 1948 წლისათვის ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში:

ა. არასასაქონლო ოპერაციებზე გადასახადიდან 100%,

ბ. ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100% და

გ. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავლიდან 50%.

5. დაწესდეს 1948 წლისათვის საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში ანარიცხები—მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, უცოლო და უქმრო, მარტოხელა და მცირე ოჯახიან სსრკ მოქალაქეთა გადასახადიდან, მოსახლეობაში ხელის მოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხებიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემდეგი ოდენობით:

| | ანარიცხების პროცენტები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან | სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან | უცოლო და უშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან სსრკ მოქალაქეთა გადასახადიდან | მოსახლეობაში ხელის მოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხებიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . | 50 | 25 | 25 | 50 | 25 | 24,4 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა . . . . | 30 | 100 | 100 | 50 | 50 | 10,2 |
| 3. სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქი . . . . . . . . . . . . . | 100 | 50 | 50 | 100 | 100 | 100 |
| 4. ქალაქი თბილისი . . . . . . . . | 15 | — | — | 25 | 12 | 4,26 |
| 5. ქალაქი ქუთაისი . . . . . . . . | 25 | — | — | 25 | 10 | 5,6 |
| 6. ქალაქი ფოთი . . . . . . . . . | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 3,3 |
| 7. ქალაქი ჭიათურა . . . . . . . . | 50 | — | — | 25 | 50 | 1,2 |
| 8. ქალაქი რუსთავი . . . . . . . . | 50 | — | — | 50 | 87 | — |
| 9. აბაშის რაიონი . . . . . . . . | 100 | 80 | 100 | 50 | 50 | 85,7 |
| 10. ადიგენის რაიონი . . . . . . . | 100 | 64 | 50 | 50 | 100 | 100 |
| 11. ამბროლაურის რაიონი . . . . . . | 50 | 50 | 25 | 50 | 41 | 97,9 |
| 12. ასპინძის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 13. ახალქალაქის რაიონი . . . . . . | 85 | 50 | 50 | 50 | 100 | 97,7 |
| 14. ახალციხის რაიონი . . . . . . . | 25 | 25 | 25 | 25 | 20 | 21,3 |
| 15. ახმეტის რაიონი . . . . . . . . | 50 | 77 | 50 | 100 | 100 | 79,7 |
| 16. ბოგდანოვკის რაიონი . . . . . . | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| 17. ბოლნისის რაიონი . . . . . . . | 100 | 25 | 25 | 100 | 100 | 77,5 |
| 18. ბორჯომის რაიონი . . . . . . . | 50 | 25 | 15 | 50 | 24 | 9,5 |
| 19. გარდაბნის რაიონი . . . . . . . | 100 | 25 | 25 | 50 | 83 | 90,4 |
| 20. გეგეჭკორის რაიონი . . . . . . | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 21. გორის რაიონი . . . . . . . . | 50 | 25 | 25 | 50 | 50 | 43,3 |
| 22. გურჯაანის რაიონი . . . . . . . | 50 | 25 | 25 | 50 | 50 | 56,2 |
| 23. დმანისის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 24. დუშეთის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 50 | 50 | 100 | 100 |
| 25. ვანის რაიონი . . . . . . . . | 80 | 25 | 25 | 50 | 25 | 92,5 |
| 26. ზემო სვანეთის რაიონი . . . . . | 100 | — | — | 50 | 100 | 100 |
| 27. ზესტაფონის რაიონი . . . . . . | 50 | 25 | 15 | 50 | 50 | 16,1 |
| 28. ზუგდიდის რაიონი . . . . . . . | 50 | 25 | 15 | 50 | 25 | 56,4 |
| 29. თბილისის რაიონი . . . . . . . | 50 | 25 | 25 | 25 | 30 | 70,7 |
| 30. თეთრიწყაროს რაიონი . . . . . . | 70 | 50 | 50 | 50 | 93 | 96,7 |
| 31. თელავის რაიონი . . . . . . . | 50 | 30 | 20 | 50 | 25 | 36,4 |
| 32. თიანეთის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 33. კასპის რაიონი . . . . . . . . | 25 | 25 | 15 | 25 | 25 | 77,8 |
| 34. კაჭრეთის რაიონი . . . . . . . | 100 | 50 | 84 | 50 | 100 | 85,4 |
| 35. ლაგოდეხის რაიონი . . . . . . . | 50 | 50 | 43 | 50 | 92 | 97,6 |
| 36. ლანჩხუთის რაიონი . . . . . . . | 50 | 50 | 50 | 50 | 81 | 72,3 |
| 37. მაიაკოვსკის რაიონი . . . . . . | 50 | 25 | 25 | 50 | 50 | 35,6 |
| 38. მარნეულის რაიონი . . . . . . . | 50 | 25 | 25 | 50 | 25 | 53,6 |
| 39. მახარაძის რაიონი . . . . . . . | 50 | 25 | 25 | 50 | 25 | 40,9 |
| 40. მცხეთის რაიონი . . . . . . . . | 100 | 50 | 50 | 100 | 100 | 81,7 |
| 41. ონის რაიონი . . . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 42. ორჯონიკიძის რაიონი . . . . . . | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 43. საგარეჯოს რაიონი . . . . . . . | 50 | 25 | 25 | 50 | 50 | 82,8 |
| 44. სამტრედიის რაიონი . . . . . . | 50 | 25 | 25 | 50 | 50 | 14,1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | ანარიცხების პროცენტები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მოსახლეობის საშემო-სავლო გადასახადიდან | კოლმეურნეობათა სა-შემოსავლო გადასახა-დიდან | სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან | უცოლოთა და უშვილო, მარტოხელა და მცირე-ოჯახიან სსრკ მოქალა-ქეთა გადასახადიდან | მოსახლეობაში ხელის მოწერით გავრცელე-ბული სახელმწიფო სესხებიდან | ბრუნვის გადასახა-დიდან |
| 45. საჩხერის რაიონი . . . . . . . . . | 100 | 50 | 88 | 100 | 100 | 100 |
| 46. სიღნაღის რაიონი . . . . . . . . | 50 | 25 | 15 | 50 | 25 | 18,5 |
| 47. ტყიბულის რაიონი . . . . . . . | 50 | 50 | 25 | 50 | 50 | 22,6 |
| 48. ქარელის რაიონი . . . . . . . . | 50 | 50 | 25 | 50 | 50 | 86,8 |
| 49. ქვემო სვანეთის რაიონი . . . . . | 100 | 100 | — | 50 | 100 | 100 |
| 50. ქლუხორის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 51. ქუთაისის რაიონი . . . . . . . | 100 | 50 | 84 | 60 | 100 | 83,3 |
| 52. ყაზბეგის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 53. ყვარლის რაიონი . . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 54. ჩოხატაურის რაიონი . . . . . . . | 100 | 73 | 50 | 100 | 100 | 100 |
| 55. ჩხარის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| 56. ჩხოროწყუს რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| 57. ცაგერის რაიონი . . . . . . . . . | 87 | 50 | 25 | 50 | 50 | 67,5 |
| 58. ცხაკაიას რაიონი . . . . . . . . . | 50 | 25 | 25 | 50 | 25 | 43,8 |
| 59. წალენჯიხის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 60. წალკის რაიონი . . . . . . . . . | 100 | 50 | 50 | 50 | 100 | 100 |
| 61. წითელწყაროს რაიონი . . . . . . | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 38,8 |
| 62. წულუკიძის რაიონი . . . . . . . | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| 63. წყალტუბოს რაიონი . . . . . . . | 100 | 50 | 25 | 100 | 50 | 66,2 |
| 64. ჭიათურის რაიონი . . . . . . . . | 50 | 50 | 31 | 50 | 98 | 99,3 |
| 65. ხაშურის რაიონი . . . . . . . | 50 | 50 | 25 | 50 | 35 | 21,5 |
| 66. ხობის რაიონი . . . . . . . . . | 100 | 50 | 100 | 50 | 100 | 100 |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1948 წ. 26 მარტი. ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**2. საქართველოს სსრ გარდაბნის რაიონის დაბა რუსთავის ქალაქ რუსთავად გარდაქმნის თაობაზე გამოცემული ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ გარდაბნის რაიონის დაბა რუსთავის ქალაქ რუსთავად გარდაქმნის შესახებ და შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-19 მუხლში, რომელიც გამოიხატოს შემდეგნაირად:

„**მუხლი 19.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან; აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ვანის, ზემო სვანეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თბილისის, თეთრიწყაროს, თელავის, თიანეთის, კასპის, კაჭრეთის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მახარაძის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის, ქვემო სვანეთის, ქლუხორის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხაშურის, ხობის რაიონებისაგან და ქალაქებისა: თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურისა და რუსთავისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს<br>
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს<br>
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 26 მარტი. ქ. თბილისი.

**3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 196² მუხლისა და ამავე კოდექსის დანართის—„სამხედრო დანაშაულთა დებულების" 25 მუხლის „ა" პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე გამოცემული ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 17 იანვრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოდექსის $196^{2}$ მუხლისა და ამავე კოდექსის დანართის—„სამხედრო დანაშაულთა დებულების“ 25 მუხლის „ა“ პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 26 მარტი. ქ. თბილისი.

**4. საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის თაობაზე გამოცემული ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც დანიშნული არიან:

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად—რუხაძე ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად—რაფავა ავქსენტი ნარიქის-ძე.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრად—კიკნაძე გიორგი ივანეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 26 მარტი. ქ. თბილისი.

**5. ამხ. გ. თ. სტურუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი თედორეს-ძე სტურუა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 26 მარტი. ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 6. ამხ. ვ. ბ. გოგუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნას ამხ. ვასილ ბარნაბის-ძე გოგუა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 26 მარტი. ქ. თბილისი.

### 7. ამხ. ვ. ბ. გოგუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდეს ამხ. ვასილ ბარნაბის-ძე გოგუა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან, მისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 26 მარტი. ქ. თბილისი.

### 8. ამხ. ა. ა. გიგოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნას ამხ. არჩილ ალექსანდრეს-ძე გიგოშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 26 მარტი. ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 9. ამხ. ნ. ვ. ეგოროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ნიკიტა ვასილის-ძე ეგოროვი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან, მისი საქართველოს სსრ გარეთ სამუშაოზე გადაყვანის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 26 მარტი. ქ. თბილისი.

### 10. ამხ. ვ. დ. ბუჯიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ვასილ დიმიტრის-ძე ბუჯიაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 26 მარტი. ქ. თბილისი.

### 11. ამხ. მ. დ. წინამძღვრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას ამხ. მიხეილ დოროთეს-ძე წინამძღვრიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 26 მარტი. ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 12. ამხ. ვ. პ. ჟიტნიკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას ამხ. ვასილ პეტრეს-ძე ჟიტნიკოვი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 26 მარტი. ქ. თბილისი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

## 13. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების დებულება.

2. გამოიცეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების დებულება ქართულ და რუსულ ენებზე.

გამოსაცემი დებულების ტირაჟი განისაზღვროს:

ქართულ ენაზე — 5000 ეგზემპლარით

რუსულ ენაზე — 1000 ეგზემპლარით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილს უზრუნველჰყოს დებულების გამოცემა ორი კვირის ვადაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1948 წ. 11 ივნისი. ქ. თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიებისა

1. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მუდმივი კომისია საბჭოს ორგანოა.

2. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების ამოცანაა—საბჭოების გარშემო დარაზმონ მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის აქტივი, მონაწილეობა მიიღონ საბჭოს პრაქტიკულ საქმიანობაში, ხელი შეუწყონ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, სახელმწიფო წესრიგის დაცვას, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდას, კანონების შესრულებასა და მოქალაქეების უფლებათა დაცვას.

3. მშრომელთა დეპუტატების თვითეული საბჭო ჰქმნის მუდმივ კომისიებს ადგილობრივი პირობებისა და რეალური საჭიროების მიხედვით. მუდმივი კომისიების წევრებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ დეპუტატები.

**რაიონულ საბჭოსთან** შეიძლება არსებობდნენ მუდმივი კომისიები: საბიუჯეტო, სასოფლო-სამეურნეო, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, ადგილობრივი მრეწველობის, საგზაო მშენებლობის, კეთილმოწყობის, გამწვანებისა და ტყის გაშენების და სხვ.

**საქალაქო საბჭოსთან და ქალაქის რაიონულ საბჭოსთან:** საბიუჯეტო, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, გამწვანებისა და სხვ.

**სასოფლო და სადაბო საბჭოსთან:** საბიუჯეტო, სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო, საგზაო მშენებლობის, კეთილმოწყობის, გამწვანებისა და ტყის გაშენების და სხვ.

4. თვითეული დეპუტატი უნდა მუშაობდეს რომელიმე მუდმივ კომისიაში. კომისიის წევრები უნდა იყვნენ ინიციატორები და ორგანიზატორები სოციალისტური შეჯიბრებისა, პირადი მაგალითით უნდა აჩვენებდნენ შრომის საუკეთესო ნიმუშებს.

მუდმივი კომისიების შემადგენლობას ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საბჭო.

მუდმივი კომისიები თავიანთ მუშაობაში საჭიროებისამებრ იყენებენ სპეციალისტებსა და საბჭოს აქტივს.

5. მუდმივ კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი, რომლებსაც ირჩევს კომისია თავისი შემადგენლობიდან. კომისიის თავმჯდომარედ და მდივნად არ შეიძლება იყვნენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრები და მის განყოფილებათა მუშაკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მუდმივი კომისიები თავიანთი ამოცანების შესასრულებლად:

ა) გამოიკვლევენ სათანადო საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა მუშაობას, აგრეთვე დაწესებულებებს, საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც იმყოფებიან საბჭოს ტერიტორიაზე;

ბ) საბჭოში ან აღმასკომში აყენებენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია კომისიის მუშაობასთან, ამომრჩეველთა დავალებასთან, გამოკვლევების შედეგებთან და სხვა;

გ) დახმარებას უწევენ აღმასკომის სათანადო განყოფილებებს როგორც საბჭოს, ისე ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა გატარებაში.

7. მუდმივი კომისია ეცნობა აღმასკომის მუშაობის გეგმას და ამის შესაბამისად სახავს კომისიის მუშაობის გეგმას, ადგენს, თუ რა საკითხები გაიტანოს საბჭოს ან მისი აღმასკომის სხდომაზე განსახილველად.

8. მუდმივი კომისიების მუშაობას ხელმძღვანელობს მშრომელთა დეპუტატების საბჭო. აღმასკომი და აღმასკომის განყოფილებანი კომისიებს ყოველგვარ დახმარებას უწევენ მუშაობაში.

საწარმოები, დაწესებულებანი და სხვა ორგანიზაციები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ კომისიების მუშაობას.

9. ცალკეული კომისიების გამგებლობის საკითხები განისაზღვრება შემდეგნაირად:

### I. საბიუჯეტო კომისია:

1. იხილავს სათანადო საბჭოს ბიუჯეტის პროექტს და შეაქვს თავისი შენიშვნები;

2. ამოწმებს საბჭოს ბიუჯეტის შესრულებას და სახავს ღონისძიებებს საფინანსო მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

3. მასობრივი ახსნა-განმარტებით დახმარებას უწევს საბჭოს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისა და შემოსავლის წლიური თუ კვარტალური გეგმების შესრულებაში, თვითდაბეგვრის თანხების დროზე შეგროვებაში, აგრეთვე სახელმწიფო სესხის გავრცელებაში და სხვა საფინანსო ღონისძიებათა გატარებაში.

### II. სასოფლო-სამეურნეო კომისია:

1. ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, მოსავლიანობის ზრდას, კოლმეურნეობებში თესლბრუნვის შემოღებასა და დაცვას, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მიერ სახელმწიფო ვალდებულებათა დროზე შესრულებას.

2. ატარებს ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის, სოფლის ელექტროფიკაციისათვის, თვალყურს ადევნებს აგროღონისძიებების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარებას, ეხმარება კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგროტექნიკის დაუფლების საქმეში;

3. ამუშავებს ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებისათვის მთავრობის მიერ დაწესებული ვადებისა და აგროტექნიკური წესების დაცვით;

4. თვალყურს ადევნებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მდგომარეობას;

5. ეხმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მცენარეთა მავნებლებისა და ავადმყოფობის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დროზე გატარების საქმეში;

6. თვალყურს ადევნებს, რომ კოლმეურნეობებმა უზრუნველჰყონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებული ფონდების დროზე გამოყოფა, მათი წესიერი შენახვა და დანიშნულებისამებრ გამოყენება;

7. პრაქტიკულად ეხმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს იმ ღონისძიებათა გატარების საქმეში, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესება, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გამოყენებით;

8. ხელს უწყობს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულებას, ჯიშიანი საქონლის მოშენებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვ.

9. ხელს უწყობს უძროხო კოლმეურნეებს პირადი სარგებლობისათვის ძროხის შეძენის საქმეში;

10. აწარმოებს ახსნა-განმარტებით მუშაობას პირუტყვის საუკეთესო მოვლისა და ნამატის შენარჩუნებისათვის (პროდუქტიულობის გადიდება, მოზარდის გამოზრდა და სხვ.);

11. ხელს უწყობს საძოვრების გაუმჯობესებასა და მიზანშეწონილად გამოყენებას, იღებს ზომებს საკვები ბალახის, ძირნაყოფა მცენარეებისა და სასილოსე კულტურების თესვის გეგმების შესრულებისათვის და მათი მოსავლიანობის გადიდებისათვის;

12. მონაწილეობს ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებაში, ხელს უწყობს საკარანტინო წესების დაცვას და ეხმარება ზოოვეტპერსონალს საქონლის ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლაში;

13. მეთვალყურეობას უწევს ნათესებისა და მრავალწლიანი კულტურების დაცვას გაფუჭებისაგან და ეხმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაცვის ღონისძიებათა გატარების საქმეში, აგრეთვე თვალყურს ადევნებს ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დროზე გატარებას;

14. ეხმარება კოლმეურნეობების გამგეობებს სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების სწორად გატარების, საზოგადოებრივი მეურნეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შემდგომი განვითარებისა და გამტკიცების, საკოლმეურნეო მიწების და ქონების განიავებისაგან და დატაცებისაგან დაცვის საქმეში;

15. ხელს უწყობს სარწყავი არხების სისტემის განვითარებას, წყლის მიზანშეწონილად გამოყენებას, ჭაობების ამოშრობას, ახალი ფართობის ათვისებას, მეაბრეშუმეობისა და მეთუთეობის განვითარებას.

### III. სახალხო განათლების კომისია:

1. უზრუნველჰყოფს მშრომელთა მასების ფართო მონაწილეობას საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში, რომლის მიზანია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა განხორციელება და მასების კომუნისტურად აღზრდა.

2. ხელს უწყობს სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას;

3. დახმარებას უწევს განათლების განყოფილებასა და სკოლებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში; ზრუნავს სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვისა და სკოლაში მოწყობისათვის, ზრუნავს ობოლი და უპატრონო ბავშვებისათვის მატერიალური, საყოფაცხოვრებო და აღმზრდელობითი დახმარების გასაწევად;

4. ზრუნავს მასწავლებელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;

5. ხელს უწყობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაშლას (ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, კლუბები, კულტურის სახლები, თეატრები, მუზეუმები, სალექციო ბიუროები, წითელი კუთხეები და სხვ.);

6. ხელს უწყობს სკოლების, საბავშვო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას და მათ უზრუნველყოფას შენობებით, სათბობით, ინვენტარით, თვალსაჩინო ხელსაწყოებით;

7. ხელს უწყობს წიგნების, გაზეთების, ჟურნალების გავრცელებას, წიგნის მაღაზიებისა და კიოსკების გახსნას, რადიოფიკაციის ქსელის გაშლას, კინოფილმების ჩვენებას (განსაკუთრებით სოფლად);

8. ეხმარება კოლმეურნეობებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს მოხსენებების, ლექციებისა და საუბრების მოწყობაში; ხელს უწყობს მასწავლებლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას;

9. დახმარებას უწევს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ათვისებაში, კოლმეურნეობების სპეციალური ფონდებით გათვალისწინებული სახსრებისა და თვითდაბეგვრის თანხების დანიშნულებისამებრ გამოყენებაში.



23596

ეროვნული ბიბლიოთეკა

### IV. ჯანმრთელობის დაცვის კომისია:

1. ეხმარება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს სამკურნალო-სასანიტარო ქსელის გაშლის საქმეში (საავადმყოფოების, ამბულატორიების, სამშობიარო დახმარების დაწესებულებათა მოწყობა და სხვ.);

2. ამოწმებს და ხელს უწყობს სამედიცინო-სასანიტარო დაწესებულებათა მუშაობასა და მათს კეთილმოწყობას;

3. ხელს უწყობს ფიზკულტურის ფართოდ განვითარებას, საზოგადოებრივ კვების მოწესრიგებას, სოფლად თუ ქალაქად აბანოებისა და სამრეცხაოების მშენებლობას. აგრეთვე საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბავშვთა ბაგების მოწყობას;

4. ეცნობა დასახლებულ ადგილებში სანიტარულ მდგომარეობას და ღებულობს საჭირო სანიტარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს;

5. ხელს უწყობს მოსახლეობაში სანიტარულ-კულტურული მუშაობის გაშლას (ლექციები, საუბრები და სხვ.).

### V. ვაჭრობის კომისია:

1. ხელს უწყობს სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლას;

2. თვალყურს ადევნებს და ამოწმებს ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას ვაჭრობის ორგანიზაციისა და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების შესახებ;

3. თვალყურს ადევნებს და ამოწმებს სავაჭრო ქსელში ვაჭრობის წესების დაცვას (სწორი საზომ-საწონის ხმარება, საქონლის ზუსტი წონითა და ზომით გაცემა, დადგენილი ფასების დაცვა, საქონლის სავალდებულო ასორტიმენტის დაცვა და სხვ.);

4. თვალყურს ადევნებს და დახმარებას უწევს დამამზადებელი ორგანოების მუშაობას;

5. ამუშავებს საქონელბრუნვაში დამატებითი რესურსების მიზიდვის ღონისძიებებს (საქონლის დეცენტრალიზებული შესყიდვა, დამხმარე საწარმოთა პროდუქციის გამოშვება და სხვ.);

6. თვალყურს ადევნებს სავაჭრო ქსელის სანიტარულ-ტექნიკურ მდგომარეობას და სწორად განლაგებას;

7. პრაქტიკულ დახმარებას უწევს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ვაჭრობის განყოფილებებს საბჭოთა ვაჭრობის გაშლასთან დაკავშირებულ ამოცანათა განხორციელებაში.

### VI. ადგილობრივი მრეწველობის კომისია:

1. ხელს უწყობს ადგილობრივი მრეწველობის გეგმების შესრულებას და ფართო მოხმარების საგნების გამოშვებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამუშავებს საკითხს ადგილობრივი პირობებისა და ნედლეულის ბაზის შესაბამისად ახალ საწარმოთა მოწყობის შესახებ (აგურის, კრამიტის, კირის წარმოება, მალეულის ქსოვა, ხის გადამუშავება და სხვ.);

3. ზრუნავს ადგილობრივი ნედლეულის ახალი სახეების გამოვლინებისა და ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საწარმოთა რენტაბელური მუშაობისათვის.

## VII. საგზაო მშენებლობის კომისია:

1. მონაწილეობას იღებს სასოფლო, სარაიონო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების, ხიდებისა და ბოგირების მშენებლობისა და რემონტის შესრულებაში;

2. კონტროლს უწევს კოლმეურნეობების მუდმივი საგზაო ბრიგადების ორგანიზაციასა და მუშაობას კოლმეურნეობის საგზაო სამუშაოების გეგმასთან შეფარდებით;

3. ამუშავებს ღონისძიებებს საგზაო სამუშაოების სწორი ორგანიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და საგზაო სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

4. თვალყურს ადევნებს სავალდებულო დადგენილებათა შესრულებას საგზაო მშენებლობისა და რემონტის საქმეში;

5. ხელს უწყობს გზების გასწვრივ ხეების გაშენებასა და დაცვას.

## VIII. კეთილმოწყობის კომისია სოფლად:

1. მონაწილეობას იღებს კეთილმოწყობის ღონისძიებათა დამუშავებასა და განხორციელებაში, როგორიც არის: დასახლებული პუნქტების დაგეგმვა და რეკონსტრუქცია, ახალი ქუჩების, მოედნების, ბაზრებისა და სხვათა მოწყობა და არსებულის შეკეთება-მოწესრიგება, ხანძრის საწინააღმდეგო დაცვის მოწყობა და სხვ.;

2. მეთვალყურეობას უწევს სახლების, ეზოების, ქუჩების, მოედნების, ბაზრებისა და სხვ. სანიტარულ მდგომარეობას;

3. ზრუნავს არსებული სასმელი წყაროების მოვლა-პატრონობისათვის, ახალი წყაროების გაყვანისათვის და სხვ.

## IX. კომუნალური მეურნეობის კომისია ქალაქად:

1. ხელს უწყობს საბინაო მშენებლობისა და კომუნალურ საწარმოთა (ქალაქის ტრანსპორტი, ტელეფონი, ელექტრო-სადგური, წყალსადენი, აბანოები, სასტუმროები და სხვ.) მშენებლობის გეგმის განხორციელებას და მათი ექსპლოატაციის გაუმჯობესებას;

2. თვალყურს ადევნებს ქალაქის საბინაო ფონდის წესიერად მოვლასა და შენარჩუნებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. იკვლევს საბინაო მშენებლობის, კაპიტალური რემონტის მდგომარეობას და ცალკეული კომუნალური საწარმოების მუშაობას;

4. ამოწმებს სასტუმროების, აბანოების, სახლების, ეზოებისა და ქუჩების სანიტარულ მდგომარეობას;

5. ამოწმებს კომუნალური განყოფილებისა და საბინაო სამმართველოს ღონისძიებებს მშრომელთა საჩივრების გამო (ბინების რემონტისა და სხვა საკითხების შესახებ);

6. ამოწმებს ქალაქის ტრანსპორტის მუშაობას, მის ორგანიზაციას, მოძრაობის შეუფერხებლობას და სხვ.;

7. მონაწილეობას იღებს ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებათა დამუშავებასა და გატარებაში.

### X. გამწვანებისა და ტყის გაშენების კომისია:

1. ხელს უწყობს სკოლებისა და წარმოება-დაწესებულებათა ტერიტორიის, მოსახლეთა კარმიდამოების, ქუჩების, გზების, სარწყავი არხების გამწვანებას, ხეებისა და ხეხილის გაშენებას;

2. დახმარებას უწევს ტყის გაშენებისა, მოვლისა და დაცვის ღონისძიებათა გატარებას, ხეებისა და ხეხილის სანერგეების მოწყობას;

3. მონაწილეობას იღებს არსებული პარკებისა და მწვანე ნარგავების გაფართოებასა და დაცვაში;

4. პრესის, რადიოს, კინოს, ლექციებისა და საუბრების საშუალებით მოსახლეობაში ეწევა გამწვანების, ტყის გაშენებისა და დაცვის მნიშვნელობის ფართო პროპაგანდას;

5. ხელს უწყობს ნებაყოფლობითი საზოგადოების „ტყის მეგობრის" მუშაობას.

### 14. ხაშურის რაიონის გომისა და გორის რაიონის მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ

მოისმინა რა მოხსენება გორის რაიონის მეჯვრისხევისა და ხაშურის რაიონის გომის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების და მათი აღმასკომების მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ დასახელებულ საბჭოებს და მათს აღმასკომებს თავიანთ მუშაობაში აქვთ მნიშვნელოვანი მიღწევები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების, სახელმწიფო დამზადებათა გეგმების შესრულების, ფულადი სახსრების მობილიზაციის, სახელმწიფო სესხის გავრცელების საქმეში და სხვა.

მიღწევებთან ერთად მეჯვრისხევისა და გომის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებს თავიანთ მუშაობაში აქვთ ნაკლოვანებანიც: რეგულარულად არ იწვევენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს სესიებს და აღმასკომის სხდომებს; სასოფლო საბჭოებთან არ არის შექმნილი

ეროვნული

ზოგიერთი მნიშვნელოვანი მუდმივი კომისია (მეჯვრისხევის საბჭოში—საბიუჯეტო და ჯანმრთელობისა, გომისაში—კულტურულ-საგანმანათლებლო); სასოფლო საბჭოს მუშაობაში და საბჭოს მუდმივ კომისიებში არ არის ჩაბმული მნიშვნელოვანი ნაწილი დეპუტატებისა (მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოს 25 დეპუტატიდან 9 არ არის ჩაბმული მუდმივ კომისიებში); სასოფლო საბჭოს აღმასკომს და საბჭოს მუდმივ კომისიებს არა აქვთ სამუშაო გეგმები; საბჭოს აღმასკომის სხდომაზე არ ისმენენ კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოხსენებებს და არ სახავენ ამ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს; აღმასკომის სხდომებზე და საბჭოს სესიებზე განხილული არ არის სოფლის მეურნეობის ცალკეული კულტურების მოსავლის გადიდების, მეცხოველეობის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის საკითხები; საბჭოს და აღმასკომის მუშაობაში საკმაოდ არ არიან ჩაბმული საბჭოს დეპუტატები და სოფლის აქტივი; საბჭოს სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე მიღებული დადგენილებები სათანადოდ არ არის გაფორმებული და დადგენილებები ხშირ შემთხვევაში არაკონკრეტულია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს მშრომელთა დეპუტატების მეჯვრისხევისა და გომის სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს:

1) გააძლიერონ მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისა და კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციული განმტკიცებისათვის;

2) სისტემატურად განიხილონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ცხოვრებაში განუხრელად გატარების მდგომარეობა და მიიღონ საჭირო ზომები საკოლმეურნეო მიწებისა და ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად;

3) ხელი შეუწყონ მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილების პოპულარიზაციას და მათი მუშაობის მეთოდების კოლმეურნეებში დანერგვას;

4) განიხილონ საბჭოს სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხები, ჩაატარონ საჭირო მუშაობა კოლმეურნეთა კულტურული მომსახურების, არსებული კლუბებისა და ქოხ-სამკითხველოების მუშაობის გასაუმჯობესებლად;

5) მეტი ყურადღება მიაქციონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას, აღმოუჩინონ მათ დახმარება საკლუბო მუშაობის გაშლის, კინო-სურათების რეგულარულად ჩვენების, კლუბებთან თვითმოქმედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრეების მოწყობის, სამკითხველოების წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით მომარაგების საქმეში;

6) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მუშაობაში ჩააბან საბჭოს ყველა დეპუტატი, ამავე დროს შემოიკრიბონ და მიიზიდონ სოფლის აქტივი საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში;

7) საბჭოს მორიგ სესიაზე დამატებით შეიქმნას მუდმივი კომისიები — მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოსთან — ჯანმრთელობისა და საბიუჯეტო, — გომის სასოფლო საბჭოსთან კულტურულ-საგანმანათლებლო, და ჩააბან საბჭოს ყველა დეპუტატი მუდმივი კომისიების მუშაობაში;

8) უზრუნველჰყონ საბჭოს სესიებისა და აღმასკომის სხდომების რეგულარულად მოწვევა; ყურადღება მიაქციონ სესიაზე და აღმასკომის სხდომებზე მიღებულ დადგენილებათა გაფორმებას, ამავე დროს სისტემატურად შეამოწმონ მიღებულ დადგენილებათა შესრულება;

9) შეადგინონ და დაამტკიცონ აღმასკომის სხდომაზე აღმასკომის ყოველთვიური ან კვარტალური სამუშაო გეგმა. სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე განსახილველად შეტანილი საკითხების მომზადებაში ჩააბან საბჭოს დეპუტატები და სოფლის აქტივი;

10) სისტემატურად დაეხმარონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან არსებულ მუდმივ კომისიებს მუშაობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებაში;

11) თვალყური ადევნონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას, მიიღონ ზომები, რათა სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი სკოლებში სწავლობდეს;

12) მოაწყონ მოსახლეობისათვის, ადგილობრივი ძალებით, საუბარ-მოხსენებები აგროტექნიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე;

13) ყურადღებით მოეპყრონ სამამულო ომის ინვალიდებისა და საბჭოთა არმიაში მყოფთა ოჯახებს, საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩინონ მათ შესაფერისი დახმარება. თვალყური ადევნონ პენსიების დროიანად გაცემას და პენსიონერებისათვის დაწესებული შეღავათების განხორციელებას;

14) გააუმჯობესონ მუშაობა სასოფლო საბჭოს ტერიტორიის გზების მოსავლელად და ჩაატარონ გზების გასწვრივ მწვანე ნარგავების დარგვა.

დაევალოს მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონული საბჭოს აღმასკომს განიხილოს მდინარე მეჯუდაზე ხიდის მშენებლობის დამთავრების საკითხი.

დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომს აღმოუჩინოს საჭირო დახმარება გომის სასოფლო საბჭოს აღმასკომს საბჭოს შენობის სახურავის შეკეთებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არასაკმარისად თვლის მშრომელთა დეპუტატების გორისა და ხაშურის რაიონული საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელობას მეჯვრისხევისა და გომის სასოფლო საბჭოებზე და ავალებს მათ მეტი დახმარება გაუწიონ სასოფლო საბჭოებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 11 ივნისი. ქ. თბილისი.

**15. ახალციხის რაიონის ქისათიბის სასოფლო საბჭოს გადარქმევის შესახებ**

რადგან ახალციხის რაიონის ქისათიბის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელი ქისათიბი გაუქმებულია და სასოფლო საბჭოს ცენტრი გადატანილია სოფ. ანდრიაწმინდაში, ქისათიბის სასოფლო საბჭოს ეწოდოს სოფლის საბჭოს ცენტრის ანდრიაწმინდის სახელის მიხედვით — ანდრიაწმინდის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 11 ივნისი. ქ. თბილისი.

**16. საქართველოს სსრ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელ მონასტრის და მონასტრის სასოფლო საბჭოს სახელის შეცვლის შესახებ**

შეეცვალოს სახელი საქართველოს სსრ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელ მონასტერს და ეწოდოს სოფელი ლარგვისი, ხოლო მონასტრის სასოფლო საბჭოს—ლარგვისის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 28 აპრილი. ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 17. გურჯაანის რაიონში სამამულო ომის ინვალიდების, სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და მათი საყოფაცხოვრებო მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. ჩიგილაშვილის მოხსენება სამამულო ომის ინვალიდების, სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და მათი საყოფაცხოვრებო მოწყობის შესახებ, აღნიშნავს, რომ გურჯაანის რაიონულ საბჭოსა და სასოფლო საბჭოებს ამ მუშაობაში მიღწევებთან ერთად აქვთ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი: სამამულო ომის ინვალიდების, სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების პირადი საქმეები და ანგარიშსწორების ბარათები არ არის მოყვანილი წესრიგში, რაიონული საბჭოს აღმასკომთან არსებული სამამულო ომის ინვალიდების შრომითი მომწყობი კომისია არ მოქმედებს: სოცუზრუნველყოფის განყოფილების ინსპექტორები რეგულარულად არ ამოწმებენ იმ ოჯახების შემადგენლობას, რომლებიც ღებულობენ პენსიას ან სახელმწიფო დახმარებას, რის შედეგად ადგილი აქვს პენსიისა და სახელმწიფო დახმარების არასწორად გაცემის შემთხვევებს. მაგალითად, პენსიონერ გ. ა. გელიკაშვილს, ნ. ვ. აბაშიშვილს და სხვ. პენსიების დამნიშვნელმა კომისიამ მოუხსნა პენსია, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ მაინც გაეგზავნათ იგი. რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომები არ უწევენ სათანადო დახმარებას კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროების მუშაობას, რის გამოც რაიონში ადგილი აქვს სალაროების ფონდების არადანიშნულებისამებრ ხარჯვას და სალაროს ფონდში გამოყოფილი ფულადი სახსრების და პროდუქტების კოლმეურნეობის საერთო ფონდებში გათქვეფას.

ათვისებული არ არის რაიონული საბჭოს აღმასკომის ბიუჯეტში გათვალისწინებული ერთდროული დახმარების ფონდი. მაგალითად, 1948 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 32.000 მანეთიდან 6 თვის მანძილზე ათვისებული იყო მხოლოდ 3.498 მანეთი, ანუ 11%-მდე. ქალაქ გურჯაანში მცხოვრები სამამულო ომის შრომისუნარიანი რიგი ინვალიდები არ არიან მოწყობილი სამუშაოზე. ადგილი აქვს სამამულო ომის ინვალიდების სამუშაოდან უკანონოდ მოხსნის შემთხვევებს. არ სწარმოებს პენსიების გაგზავნისა და დანიშნულებისამებრ ჩაბარების შემოწმება, რის შედეგად ადგილი აქვს გაგზავნილი პენსიების მითვისებას, მაგალითად, ველისციხის საფოსტო განყოფილების გამგემ სომხიშვილმა 1946 წ. ნოემბერში მიითვისა სამამულო ომში დაღუპული მებრძოლის თ. შ. ბეშანაშვილის ოჯახისათვის გაგზავნილი პენსია 2.160 მანეთის რაოდენობით. დანაშაული გამოავლინა მხოლოდ თვით დაზარალებულმა 1948 წლის 21 აპრილის განცხადებით. მშრომელთა დეპუტატების

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი არ ისმენენ სესიაზე და აღმასკომის სხდომაზე მოხსენებებს სოცუზრუნველყოფის განყოფილების მუშაობის შესახებ. რაიონული და სასოფლო საბჭოები და მათი აღმასკომები არ ისმენენ მოხსენებებს კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროების მუშაობის შესახებ და არ სახავენ საჭირო ღონისძიებებს მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაიონული საბჭოს აღმასკომს:

ა) უზრუნველჰყოს მოხსენებების სისტემატურად მოსმენა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიაზე და აღმასკომის სხდომებზე სამამულო ომის ინვალიდებისა, სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფის, საყოფაცხოვრებო მოწყობისა და მათზე კანონით გათვალისწინებული შეღავათების გავრცელების შესახებ;

ბ) სასოფლო საბჭოების აღმასკომების მეშვეობით რეგულარულად შეამოწმონ პენსიებისა და დახმარების დროულად და დანიშნულებისამებრ ჩაბარება და დარღვევის გამოვლინების შემთხვევაში მიიღონ საჭირო ზომები;

გ) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროების მუშაობის გასაუმჯობესებლად და მიიღონ ზომები, რათა აღნიშნულ სალაროებს კოლმეურნეთა საერთო კრებების დადგენილებით მათთვის გამოყოფილი სახსრები დროულად ჩაერიცხოს;

დ) დააზუსტოს სამამულო ომის იმ ინვალიდების საერთო რიცხვი ქალაქ გურჯაანში, რომლებიც დღემდე არ არიან მოწყობილი სამუშაოზე და ერთი თვის ვადაში მოაწყონ ისინი შესაფერის სამუშაოზე;

ე) განიხილოს სამამულო ომის ინვალიდების სამუშაოდან უკანონოდ მოხსნის საკითხი და დაადოს დამნაშავე პირებს დისციპლინარული სასჯელი. ამასთანავე, დაავალდებულოს წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები, რათა ამ უკანასკნელებმა ხელი შეუწყონ სამამულო ომის ინვალიდებს შესაბამისი პროფესიის დაუფლებასა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ა. ჩიგილაშვილს:

ა) განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყოლიოს სამამულო ომის ინვალიდებისა, ომში დაღუპულთა და სამხედრო მოსამსახურეთა ის ოჯახები, რომელთაც არა ჰყავთ შრომისუნარიანი წევრები, და ასეთ ოჯახებს პირველ რიგში გაუწიოს დახმარება საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებასა, ზამთრისათვის შეშით მომარაგებასა, მოსწავლეთათვის სასკოლო სახელმძღვანელოებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სასწავლო ნივთების შეძენას, უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების მოწყო-
ბაში და სხვა;

ბ) მისცეს მითითება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასკომებს გააუმჯობესონ სამამულო ომის ინვალიდების, სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მომსახურება, ჩააბან ამ მუშაობაში სასოფლო საბჭოს მუდმივი კომისიები, საბჭოს დეპუტატები და სოფლის აქტივი;

გ) რაიაღმასკომის სხდომაზე სისტემატურად მოისმინოს სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების მოხსენება სამამულო ომის ინვალიდების, ომში დაღუპულ მებრძოლთა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და მათი საყოფაცხოვრებო მოწყობის შესახებ.

3. დაევალოს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი საფოსტო განყოფილებებისადმი პენსიების, დახმარების ვადაზე ჩაბარების საქმეში და მიიღოს შესაბამისი ზომები პენსიების დაგვიანებით ჩაბარებისა და მითვისების შემთხვევაში.

4. დაევალოს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მოაგვარონ სამამულო ომში დაღუპული მებრძოლის ბეშანაშვილის ოჯახისათვის კუთვნილი პენსიის ანაზღაურება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 5 აგვისტო. ქ. თბილისი.

## 18. ქალაქ ფოთის საზღვრების დადგენის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს ქალაქ ფოთის საზღვრები (ქალაქის მიჯნა) მისი შემდეგი აღწერით (ერთვის 1:50000 მასშტ. რუკა):

ა) ჩრდილოეთით საზღვარი იწყება შავი ზღვისა და მდინარე რიონის შესართავთან (წერტილი—ა) და მიჰყვება მდინარის მარცხენა ნაპირს მდინარე რიონის ძველი და ახალი კალაპოტის გადაკვეთის ადგილიდან 300 მეტრის სიღრმეზე (წერტილი—ბ);

ბ) აღმოსავლეთით საზღვარი იწყება ჩრდილოეთის საზღვრის დასასრულიდან, გადის მდინარე რიონის ძველი კალაპოტის პარალელურად 300 მეტრის დაცილებით ქალაქის აღმოსავლეთით მდებარე დამბის დასაწყისამდე (წერტილი—ვ) და მიჰყვება დამბას პალიასტომის ტბამდე (წერტილი—გ);

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სამხრეთით საზღვარი მიჰყვება პალიასტომის ტბის ნაპირს მდინარე ფიჩორას მიმართულებით, გაივლის მდინარე თხორინას და მდინარე კაპარჭის პირველ შესართავს პალიასტომის ტბასთან (წერტილი—დ), გაჰყვება მდინარე კაპარჭის მარცხენა ნაპირს მდინარე მალთაყვას გადაკვეთამდე (წერტილი—ე) და აქედან სწორი ხაზით უერთდება შავი ზღვის ნაპირს (წერტილი—ჟ);

დ) დასავლეთით საზღვარი იწყება შავი ზღვის და მდინარე მალთაყვას შესართავთან, მიჰყვება ზღვის ნაპირს და თავდება შავი ზღვისა და მდინარე რიონის შესართავთან.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაადგინოს ნატურაში ქალაქის საზღვრები სათანადო გეოდეზიური ნიშნებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 5 აგვისტო. ქ. თბილისი.

### 19. საქართველოს სსრ ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს დაბად გარდაქმნის შესახებ

გარდაიქმნას ახალციხის რაიონის ვალეს სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელი ვალე დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტად), ხოლო ვალეს სასოფლო საბჭო—ვალეს სადაბო საბჭოდ.

გამოეყოს ვალეს სასოფლო საბჭოს სოფელი ნაოხრები და მიეკუთვნოს იგი წყალთბილას სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 20 ივლისი. ქ. თბილისი.

### 20. საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებათა და მათ თანამდებობის პირთა უცხოეთის სახელმწიფოების დაწესებულებებთან და თანამდებობის პირებთან ურთიერთობის წესის შესახებ

„სსრ კავშირის სახელმწიფო დაწესებულებათა და მათ თანამდებობის პირთა უცხოეთის სახელმწიფოების დაწესებულებებთან და თანამდებობის პირებთან ურთიერთობის წესის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ-

მის 1947 წლის 16 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებათა და მათ თანამდებობის პირთა ურთიერთობა საზღვარგარეთ მყოფ უცხოეთის სახელმწიფოების დაწესებულებებთან და თანამდებობის პირებთან სწარმოებს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.

ურთიერთობის ყოველი სხვა წესი შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ პირდაპირ იქნება მითითებული კანონში ან სსრ კავშირის ძალაში შესულ საერთაშორისო ხელშეკრულებაში, საქართველოს სსრ საერთაშორისო შეთანხმებაში ან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ან საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული ნებართვით.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებათა და მათ თანამდებობის პირთა ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ დიპლომატიურ წარმომადგენლებთან სწარმოებს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, ხოლო უშუალო ურთიერთობა—მარტო მისი თანხმობით.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებათა და მათ თანამდებობის პირთა ურთიერთობის წესს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ უცხო სახელმწიფოების საკონსულო წარმომადგენლებთან ადგენს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების და სსრ კავშირის მოქმედ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და საქართველოს სსრ შეთანხმებათა საფუძველზე.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებანი და მათი თანამდებობის პირნი უცხოეთის სახელმწიფოების დაწესებულებათა და თანამდებობის პირთაგან ან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ უცხოეთის სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობათაგან რაიმე წერილობითი მიმართვის მიღების შემთხვევაში ვალდებული არიან ეს მიმართვები გაუგზავნონ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს და დაურთონ მიმართვაში აღძრული საკითხის დედაარსის მიხედვით საჭირო მასალები. პასუხს უცხო სახელმწიფო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მიმართვაზე აძლევს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო.

უცხოეთის სახელმწიფოების დაწესებულებათა თანამდებობის პირთა ან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა პირადი მომართვის შემთხვევაში, საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებანი და მათი თანამდებობის პირნი ვალდებული არიან საკითხი არსებითად არ განიხილონ და დაკმაყოფილდნენ იმის განმარტებით, რომ უცხოეთის სახელმწიფო დაწესებულებებმა და თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდებობის პირებმა დადგენილი წესის თანახმად უნდა მიმართონ უშუალოდ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ორგანიზაციები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან ასეთი სახის მიმართვის ფაქტები აცნობონ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს.

5. ამ ბრძანებულების 4 მუხლით დადგენილი ურთიერთობის წესი არ ვრცელდება დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებზე საყოფაცხოვრებო ხასიათის ურთიერთობის შემთხვევაში, სახელდობრ: ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებზე, რკინიგზის, საქალაქო, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის სალაროებსა და კონტორებზე, საბაჟოებზე, მილიციაზე, ნოტარიულ კონტორებზე, სახლმმართველობებზე უცხოელთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სახანძრო დაცვაზე, საექიმო სასწრაფო დახმარების სადგურებზე, მომსახურების სადგურებზე, შემნახველ სალაროებზე, მაღაზიებსა და კიოსკებზე, მათ რიცხვში წიგნის მაღაზიებზე, რესტორანებზე, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა, სანახაობებსა, მუზეუმებსა, გამოფენებსა და ცნობათა ბიუროებზე—ამ დაწესებულებათა და პირების მიერ ჩვეულებრივი ფუნქციების შესრულების ფარგლებში.

6. ის პირნი, რომლებიც დაარღვევენ ამ ბრძანებულებით დადგენილ წესს საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებათა და მათ თანამდებობის პირთა უცხოეთის სახელმწიფოების დაწესებულებებთან და თანამდებობის პირებთან ურთიერთობის შესახებ, პასუხს აგებენ სისხლის სამართლისა ან დისციპლინარული წესის თანახმად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 3 აგვისტო. ქ. თბილისი.

**21. ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის „სამხრეთ-აღმოსავლეთი“ შახტისათვის ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ**

დაკმაყოფილდეს ტრესტის „ტყიბულშახტმშენისა“ და კომბინატ „საქნახშირის“ ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერტექნიკოსთა შუამდგომლობა და ტყიბულქვანახშირის ტრესტის „სამხრეთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალმოსავლეთ" შახტს მიეკუთვნოს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის სახელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 28 აგვისტო. ქ. თბილისი.

**22. საქართველოს სსრ აფხაზეთის ასსრ ზოგიერთი სოფლისა და სასოფლო საბჭოს გადარქმევისა და სოფლების გაერთიანების შესახებ**

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება და

ა) ეწოდოს აფხაზეთის ასსრ შემდეგ სოფლებსა და სასოფლო საბჭოებს:

**I. ოჩამჩირის რაიონში:**

1. სომხური ათარას სასოფლო საბჭოს სოფელ ასარ-რიმვას—სოფელი მეორე ათარა, ხოლო სომხური ათარას სასოფლო საბჭოს—მეორე ათარას სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ მეორე ათარაში;
2. აფხაზური ათარას სასოფლო საბჭოს სოფელ ნაბეოუს—სოფელი ათარა, ხოლო აფხაზური ათარას სასოფლო საბჭოს—ათარას სასოფლო საბჭო;
3. მეორე ათარას სასოფლო საბჭოს სოფელ სომხურ ნაას—სოფელი ნაა;
4. მეორე ათარას სასოფლო საბჭოს სოფელ კირქლუქს—სოფელი ოთორონჯია.

**II. გულრიფშის რაიონში:**

1. აზანთის სასოფლო საბჭოს სოფელ ჩულის—სოფელი კირნათი;
2. აზანთის სასოფლო საბჭოს სოფელ ქვემო ფუნდუკლუკს—სოფელი ქვემო თხილოვანი;
3. აზანთის სასოფლო საბჭოს სოფელ ზემო ფუნდუკლუკს—სოფელი ზემო თხილოვანი;
4. კოდორის სასოფლო საბჭოს სოფელ ესტონკას—სოფელი ბალნაშენი;
5. ხევის სასოფლო საბჭოს სოფელ ასლანგირის—სოფელი მთიანი;
6. ხევის სასოფლო საბჭოს სოფელ კრასნიცკოეს—სოფელი ცაცხვნარი;
7. ხევის სასოფლო საბჭოს სოფელ დიდ კრავეჩის—სოფელი შუამთა;
8. ხევის სასოფლო საბჭოს სოფელ დანძუთს—სოფელი კაკლიანი;
9. ლათის სასოფლო საბჭოს სოფელ ჩემბერგს—სოფელი კადარი;
10. ლათის სასოფლო საბჭოს სოფელ ხიზარუხას—სოფელი ნეძონა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ლათის სასოფლო საბჭოს სოფელ ზემო ბებუთოვკას—სოფელი ზე-ნობანი;

12. ლათის სასოფლო საბჭოს სოფელ ქვემო ბებუთოვკას—სოფელი ქვე-ნობანი;

13. განახლების სასოფლო საბჭოს სოფელ ნიკოლაევკას—სოფელი ჭალა;

14. განახლების სასოფლო საბჭოს სოფელ სომხურ ნაას—სოფელი ნაა,

15. ოქტომბრის სასოფლო საბჭოს სოფელ ქართულ პოლტავას—სოფელი მარანი;

16. ოქტომბრის სასოფლო საბჭოს სოფელ პოლტავო-კელასურს—სოფე-ლი კელასური;

17. წებელდის სასოფლო საბჭოს სოფელ ქვემო ლემსას—სოფელი ქვემო-წყარო;

18. წებელდის სასოფლო საბჭოს სოფელ ზამაისკოეს—სოფელი მაისი;

19. წებელდის სასოფლო საბჭოს სოფელ პატარა კრაევიჩს—სოფელი წითელოვანი;

20. წებელდის სასოფლო საბჭოს სოფელ ბოგაზს—სოფელი ველი;

21. წებელდის სასოფლო საბჭოს სოფელ კავაქლუქს—სოფელი ოჭან-დარე.

**III. სოხუმის რაიონში:**

1. წითელ ბესლეთის სასოფლო საბჭოს — ბესლეთის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ აბჟაყვაში;

2. ახალშენის სასოფლო საბჭოს სოფელ დერეკეის — სოფელი მთისკალ-თა;

3. ახალშენის სასოფლო საბჭოს სოფელ რეპერს — სოფელი სათავე;

4. ახალშენის სასოფლო საბჭოს სოფელ კესტანელუქს — სოფელი ოჩუ-ბურე;

5. მთისუბნის სასოფლო საბჭოს სოფელ ჩევიზლუქს—სოფელი ტბეთი;

6. მთისუბნის სასოფლო საბჭოს სოფელ აბაზადალს—სოფელი ქვალონი;

7. მთისუბნის სასოფლო საბჭოს სოფელ სემენდლის—სოფელი წყურ-ვილი;

8. კელასურის სასოფლო საბჭოს სოფელ მარინსკოეს—სოფელი ლეკუ-ხონა;

9. შრომის სასოფლო საბჭოს სოფელ ხაბიუკს—სოფელი ზეგანი;

10. შრომის სასოფლო საბჭოს სოფელ პიპერანტოს—სოფელი ჩეგოლა;

11. თავისუფლების სასოფლო საბჭოს სოფელ ცუგუროვკას—სოფელი გორანა;

12. შრომის სასოფლო საბჭოს სოფელ ასტეროვკას—სოფელი ამზარა.

## IV. გუდაუთის რაიონში:

1. კავაქლუქის სასოფლო საბჭოს სოფელ კავაქლუქს—სოფელი აგარაკი; ხოლო კავაქლუქის სასოფლო საბჭოს—აგარაკის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ აგარაკში;

2. სომხური ანუხვას სასოფლო საბჭოს—მეორე ანუხვას სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ მეორე ანუხვაში;

3. დაბა ფსირცხას—დაბა ახალი ათონი, ხოლო ფსირცხის სადაბო საბჭოს—ახალი ათონის სადაბო საბჭო;

4. აბლარხუქის სასოფლო საბჭოს სოფელ ლადარიაა-რჰაბლას—სოფელი აბლარხუქი;

5. მეორე ანუხვას სასოფლო საბჭოს სოფელ ჩობანლუქს—სოფელი საჯოგე;

6. მეორე ანუხვას სასოფლო საბჭოს სოფელ მესამე ქარხანას—სოფელი გოგირდწყალი.

7. მეორე ანუხვას სასოფლო საბჭოს სოფელ კალმუთს—სოფელი ბამბუკოვანი.

## V. გაგრის რაიონში:

1. კალდახვრის სასოფლო საბჭოს სოფელ აბგაბორთას—სოფელი ბზიფი, ხოლო კალდახვრის სასოფლო საბჭოს—ბზიფის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ბზიფში;

2. მიხელრიფშის სასოფლო საბჭოს სოფელ ყაზარმას—სოფელი სალხინო, ხოლო მიხელრიფშის სასოფლო საბჭოს—სალხინოს სასოფლო საბჭო;

3. მეჰადირის სასოფლო საბჭოს სოფელ მეჰადირს — სოფელი ნაკადული, ხოლო მეჰადირის სასოფლო საბჭოს—ნაკადულის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ნაკადულში;

4. სალხინოს სასოფლო საბჭოს სოფელ ტროიცკოეს—სოფელი ჩანჩქერი;

5. სალხინოს სასოფლო საბჭოს სოფელ შურინოვკას—სოფელი ცოდნისკარი;

6. სალხინოს სასოფლო საბჭოს სოფელ დემერჩენცს სოფელი ფსოუხევი;

7. ნაკადულის სასოფლო საბჭოს სოფელ როგოჟინოს—სოფელი ვაშლოვანი;

8. ნაკადულის სასოფლო საბჭოს სოფელ ევდოკიმოვას—სოფელი ზეგანი;

9. ნაკადულის სასოფლო საბჭოს სოფელ ვოსემსოტსკოეს—სოფელი მუხნარი;

10. ნაკადულის სასოფლო საბჭოს სოფელ ოთლუქს—სოფელი კლდიანი;

11. განთიადის სასოფლო საბჭოს სოფელ ბარონოვოს—სოფელი წალკოტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. განთიადის სასოფლო საბჭოს სოფელ ერმოლოვკას—სოფელი ხე[illegible]ვანი;

13. ბაღნარის სასოფლო საბჭოს სოფელ ზემო კოვალევსკოეს — სოფელი ველი;

14. ბაღნარის სასოფლო საბჭოს სოფელ მანაქლუქს — სოფელი კლდე-კარი;

15. ხამუთსის სასოფლო საბჭოს სოფელ კოვალევსკოეს—სოფელი ვაკე;

16. კოლხიდის სასოფლო საბჭოს სოფელ ოტრადნოეს—სოფელი სიხა-რული.

17. კოლხიდის სასოფლო საბჭოს სოფელ სომხურ-ხეობას—სოფელი ზე-მო-ხევი;

18. ახალგაგრის სასოფლო საბჭოს სოფელ ხუტორს—სოფელი დაბა;

19. ბზიფის სასოფლო საბჭოს სოფელ სომხურ-ხეობას—სოფელი ივ-ნარი.

ბ) გაერთიანდეს, როგორც უკვე გაერთიანებული, შემდეგი სოფლები:

### I. გალის რაიონში:

1. ცხირის სასოფლო საბჭოს სოფლები მეორე ქვემო-ცხირი და პირველი ქვემო-ცხირი და ეწოდოს სოფელი ცხირი.

### II. გულრიფშის რაიონში:

1. აზანთის სასოფლო საბჭოს სოფლები იაიკინლუქი და ივთერლუქი და ეწოდოს სოფელი გორიანი;

2. გულრიფშის სასოფლო საბჭოს სოფლები ივანოვო-ალექსეევკა, ორ-დუ, კუჩუკსტამბული და ნახალოვკა და ეწოდოს ფარნაუთი;

3. ხევის სასოფლო საბჭოს სოფლები ჩინ, ჩალ და ბალი და ეწოდოს სოფელი ჯამპალი;

4. განახლების სასოფლო საბჭოს სოფლები ვიდებარი, ალანოვკა და ტე-ხი და ეწოდოს სოფელი ტეხი;

5. წებელდის სასოფლო საბჭოს სოფლები ბაზარ-ხაჩტური, მეგრელოვ-კა და ეწოდოს სოფელი წებელდა;

6. წებელდის სასოფლო საბჭოს სოფლები ზემო ლემსა და შუა ლემსა და ეწოდოს სოფელი ზემო წყარო;

7. წებელდის სასოფლო საბჭოს სოფლები კომინტერნოვსკოე და ქესია-ნოვკა და ეწოდოს სოფელი მზისეული.

### III. სოხუმის რაიონში:

1. ახალშენის სასოფლო საბჭოს სოფლები არქა-მახალე, ცხარა, შუბარა და ხეტინა და ეწოდოს სოფელი იმერწყალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**IV. გუდაუთის რაიონში:**

1. დურიფშის სასოფლო საბჭოს სოფლები ქვემო აბგარა და ზემო აბგარა და ეწოდოს სოფელი აბგარა;

2. დურიფშის სასოფლო საბჭოს სოფლები ქვემო ტვანაა—რხუ და ზემო ტვანაა—რხუ და ეწოდოს სოფელი ტვანა;

3. მწარის სასოფლო საბჭოს სოფლები ართინიუსთა, კოჩკანიანოვკა, პაპასცესკიული და ხაჩტური და ეწოდოს სოფელი შუამთა;

4. მწარის სასოფლო საბჭოს სოფლები სანაპცაცკიული და ატნაპცაცკიული და ეწოდოს სოფელი ქვემო-მწარა;

5. ფსირცხის სასოფლო საბჭოს სოფლები ცენტრალნოე, კომსომოლსკოე და კრასნოე და ეწოდოს სოფელი ფსირცხა;

6. ფსირცხის სასოფლო საბჭოს სოფლები მინგრელსკოე და გრეჩესკოე და ეწოდოს სოფელი ციტრუსოვანი;

7. ფსირცხის სასოფლო საბჭოს სოფლები ოქტიაბრსკოე და სოვეტსკოე და ეწოდოს სოფელი ოქტომბერი.

**V. გაგრის რაიონში:**

1. სალხინოს სასოფლო საბჭოს სოფლები დერეკეი და ლაშინთაქი და ეწოდოს სოფელი წაბლიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 3 სექტემბერი. ქ. თბილისი.

**23. საქართველოს სსრ აჭარის ასსრ ზოგიერთი სოფლისა და სასოფლო საბჭოს გადარქმევისა და სოფლების გაერთიანების შესახებ**

დამტკიცდეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება და ეწოდოს:

**ა) ხულოს რაიონში:**

სოფელ ნანიუზოლლებს—შუა სოფელი,
სოფელ ყადიოლლებს—განახლება,
სოფელ მუმსუის—მთისუბანი,
სოფელ დუზჭვანას—ჭვანა,
სოფელ ზედა ალმეს—ვაშლოვანი,
სოფელ ქვედა ალმეს—ოქტომბერი,
სოფელ ყაიბაშს—კლდის უბანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ ახველოღლებს—ახალი უბანი,

სოფელ ძალლამერას—ახალშენი.

ყარადერეს სასოფლო საბჭოს—ოლდაურის სასოფლო საბჭო, ალმეს სასოფლო საბჭოს—ოქტომბრის სასოფლო საბჭო.

**ბ) ქედის რაიონში:**

გაერთიანდეს სოფლები ქეშიოღლები და ორთამელა და ეწოდოს სოფელი მერისი,

გაერთიანდეს სოფლები ორთახოხნა და დერეხოხნა და ეწოდოს სოფელი კოლოტაური,

სოფელ კაკაოღლებს ეწოდოს არსენაული და სოფელ ბარამოღლებს—გუნდაური.

**გ) ბათუმის რაიონში:**

სოფელ ავგიეს—ახალი სოფელი,

სოფელ მახმუდიეს—მნათობი,

სოფელ ფეიზიეს—ქვედა სამება,

სოფელ იჯადიეს—განახლება,

სოფელ ზედა ორთაბათუმს—ჩაისუბანი,

სოფელ ქვედა ორთაბათუმს—წინსვლა,

სოფელ ყარადერეს—განთიადი,

კაპანდიბის სასოფლო საბჭოს—ხელვაჩაურის სასოფლო საბჭო და ორთაბათუმის სასოფლო საბჭოს—ჩაისუბნის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 3 სექტემბერი. ქ. თბილისი.

## 24. მრავალშვილიან დედათა ჯილდოზე წარდგენის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მრავალშვილიან დედათა ჯილდოზე წარდგენის საქმე რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

წალკის, მარნეულის, ბოლნისის, მცხეთისა და კაჭრეთის რაიონების სასოფლო საბჭოებსა და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა სახელმწიფო დახმარების განყოფილებებში არ სწარმოებს სრული აღრიცხვა ჯილდოზე წარსადგენი მრავალშვილიანი დედებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1948 წლის 7 თვის განმავლობაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში დასაჯილდოებლად წარდგენილ მრავალშვილიან დედებზე საჭირო საბუთების უხარისხოდ გაფორმების გამო დაუბრუნდათ რაისაბჭოს აღმასკომებს წარმოდგენილი მასალები: ბოლნისის რაიონს 124 დედაზე, ბოგდანოვკის—96 დედაზე, წალკის—80 დედაზე, მაიაკოვსკის—59 დედაზე, წყალტუბოს—41 დედაზე, მარნეულის—37 დედაზე, თელავის—23 დედაზე და ა. შ.

რიგი რაისაბჭოს აღმასკომები ძალზე აგვიანებენ მრავალშვილიანი დედების ჯილდოზე წარდგენის საკითხის განხილვას, რის გამო მრავალშვილიან დედათა დიდი რაოდენობა არ არის წარმოდგენილი დასაჯილდოებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ამ მხრივ ყველაზე უფრო მეტ ჩამორჩენას ადგილი აქვს შემდეგ რაიონებში, სადაც დასაჯილდოებლად აღრიცხულ მრავალშვილიან დედათა რიცხვიდან წარდგენილია ჯილდოზე: აბაშის, საჩხერისა და ბოლნისის რაიონებში—28%, წულუკიძისა—32%, ხაშურისა და ბორჯომის რაიონებში—38%, ცხაკაიას—40%, ლანჩხუთისა—44%, ჩხოროწყუს—46%, ადიგენის—50%, დმანისის—53%, ყვარლისა და სამტრედიის რაიონებში—55%, ქალაქ ქუთაისში — 50% და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში—60%.

გურჯაანის, სამტრედიისა და ლაგოდეხის რაიონებში ადგილი ჰქონდა დაჯილდოებული მრავალშვილიანი დედებისათვის მიღებული ორდენებისა და მედლების ჩაბარების დაგვიანებას.

მრავალშვილიან დედათა დაჯილდოების საქმის ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო და სარაიონო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩაატარონ დასაჯილდოებელი მრავალშვილიანი დედების სრული აღრიცხვა, ხოლო ნოემბრის დამლევამდე განიხილონ დასაჯილდოებლად აღრიცხვაზე აყვანილი ყველა მრავალშვილიანი დედის ჯილდოზე წარდგენის საკითხი;

ამასთან, უმოკლეს დროში მოაწესრიგონ დასაჯილდოებელ მრავალშვილიან დედათა აღრიცხვის საბუთები სასოფლო საბჭოებსა და რაიაღმასკომებთან არსებულ მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა სახელმწიფო დახმარების განყოფილებებში;

ბ) უზრუნველყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში დასაჯილდოებლად წარდგენილ დედებზე საჭირო საბუთების სრული და მაღალხარისხოვანი გაფორმება;

ამასთან ერთად სასოფლო საბჭოებსა და რაისაბჭოების აღმასკომებში შემოიღონ ჯილდოზე წარდგენილ დედათა ცალკე აღრიცხვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სისტემატურად შეამოწმონ მრავალშვილიან დედათა აღრიცხვისა და მათი ჯილდოზე წარდგენის მდგომარეობა ამ საკითხის სასოფლო საბჭოებისა და რაისაბჭოს აღმასკომების სხდომებზე განხილვით;

დ) არ დაუშვან დაჯილდოებულ მრავალშვილიან დედებზე ორდენებისა და მედლების ჩაბარების დაგვიანება;

თვითეულ დაჯილდოებულ მრავალშვილიან დედას ორდენი და მედალი ჩააბაროს პირადად რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ.

ე) მიმდინარე წლის 1 დეკემბრისათვის წარმოუდგინონ მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს:

ა) ა. წ. 10 ოქტომბრამდე მისცეს მითითება რაისაბჭოების აღმასკომებთან არსებულ მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა სახელმწიფო დახმარების განყოფილებებს დასაჯილდოებელ მრავალშვილიან დედათა აღრიცხვის მოწესრიგების საკითხზე, დაუგზავნოს მათ საჭირო სააღრიცხვო ფორმები და უმოკლეს დროში გამოასწოროს ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი;

ბ) ოქტომბრის თვეში რაისაბჭოების აღმასკომებთან ერთად ჩაატაროს სასოფლო საბჭოებსა და რაიაღმასკომებთან არსებულ სახელმწიფო დახმარების განყოფილებათა მუშაკების ინსტრუქტირება—დასაჯილდოებელ მრავალშვილიან დედათა აღრიცხვისა და მათი ჯილდოზე წარდგენისათვის საჭირო საბუთების გაფორმების საკითხებზე;

გ) სისტემატურად შეამოწმოს რაისაბჭოების აღმასკომებთან არსებული მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა სახელმწიფო დახმარების განყოფილებათა მუშაობა დასაჯილდოებელ მრავალშვილიან დედათა აღრიცხვისა და მათი ჯილდოზე წარდგენის დარგში;

შემოწმების შედეგები პერიოდულად განიხილოს სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე და მიიღოს პრაქტიკული ზომები ამ მუშაობის ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

დ) ვალდებული გახადოს სამინისტროსთან არსებული მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა სახელმწიფო დახმარების სამმართველოს სარევიზიო აპარატი, რათა მან ყოველი რევიზიის ჩატარების დროს შეამოწმოს მრავალშვილიან დედათა დაჯილდოების მდგომარეობა.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებულ დაჯილდოებულთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის განყოფილებას დააჩქაროს მრავალშვილიან დედათა დასაჯილდოებლად განყოფილებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



წარმოდგენილი საქმეების განხილვა და მომავალში შემოსული მასალები გააფორმოს არა უგვიანეს ერთი თვისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 5 ოქტომბერი. ქ. თბილისი.

### 25. საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს „დებულება საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 21 ოქტომბერი. ქ. თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებისა

## თ ა ვ ი I.

## საარჩევნო სისტემა

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 123 მუხლისა და სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის 22 მუხლის საფუძველზე სახალხო სასამართლოებს რაიონის მოქალაქენი ირჩევენ საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით—სამი წლის ვადით.

2. სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქე, რომელიც სარგებლობს საარჩევნო უფლებით და რომელსაც არჩევნების დღისათვის 23 წელი შეუსრულდა. არ შეიძლება არჩეულ იქნას სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად ნასამართლობის მქონე პირი.

3. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 18 მუხლის საფუძველზე ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობს საქართველოს სსრ მოქალაქის თანაბარი უფლებით—აირჩიოს და არჩეულ იქნას სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად.

4. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის 23 მუხლის საფუძველზე რაიონის მოქალაქენი სახალხო მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს ირჩევენ საარჩევნო ოლქების მიხედვით. სახალხო სასამართლოს (სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების) არჩევნების საარჩევნო ოლქი მოიცავს მთელ მოსახლეობას, რომელიც ცხოვრობს ამ სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე.

5. სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ეწევა სახელმწიფო.

## თ ა ვ ი II.

## ამომრჩეველთა სიები

6. ამომრჩეველთა სიებს სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის ადგენენ: ქალაქებში—მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში—რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, დაბებში—სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სოფლად — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქე, მამაკაცები და ქალები, რომლებიც სიის შედგენის დროს მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ და არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდათ, დამოუკიდებლად მათი რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა.

8. ამომრჩეველთა სიებში არ შეაქვთ სასამართლოს განაჩენით საარჩევნო უფლება-ჩამორთმეული პირნი მთელი იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც საარჩევნო უფლების ჩამორთმევა განაჩენშია განსაზღვრული, აგრეთვე ის პირნი, რომელნიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად.

9. ამომრჩეველთა სიები სდგება თვითეული საარჩევნო პუნქტის მიხედვით, ანბანის წესზე, ამომრჩევლის გვარის, სახელის, მამის სახელის, წლოვანებისა და საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით. სიებს ხელს აწერენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

10. სამხედრო ნაწილებსა და ჯარის შენაერთებში მყოფ ამომრჩეველთა სიები სდგება მეთაურის ხელმოწერით. ყველა დანარჩენი სამხედრო მოსამსახურე ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს.

11. არჩევნებამდე ოცი დღით ადრე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამომრჩეველთა სიებს გამოაკრავს ყველას გასაცნობად ან უზრუნველჰყოფს ამომრჩევლებისათვის ამ სიების გაცნობის შესაძლებლობას საბჭოს ან საარჩევნო პუნქტის შენობაში.

12. განცხადება ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის შესახებ (სიაში შეუტანლობა, სიიდან ამოშლა, გვარის, სახელისა და მამის სახელის დამახინჯება, საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა უმართებულოდ შეტანა სიაში) შეაქვთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელმაც სია გამოაქვეყნა.

13. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია ყოველი განცხადება ამომრჩეველთა სიებში დაშვებული შეცდომის შესახებ სამი დღის ვადაზე განიხილოს და შეიტანოს საჭირო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში, ან მისცეს განმცხადებელს წერილობითი ცნობა მისი განცხადების უარყოფის მოტივების შესახებ. თუ განმცხადებელი არ ეთანხმება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია საჩივარი შეიტანოს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი III.

## სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო პუნქტები

14. სახალხო სასამართლოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში არჩეული იქნება ერთი სახალხო მოსამართლე და 50-დან 75-მდე სახალხო მსაჯული.

თვითეულ საარჩევნო ოლქში ასარჩევ სახალხო მსაჯულთა რიცხვს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს წარდგენით.

15. სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო ოლქების სიას, თვითეულ ოლქში ასარჩევი სახალხო მსაჯულების რიცხვის აღნიშვნით, აქვეყნებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს 45 დღისა არჩევნებამდე.

16. საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად სახალხო სასამართლოს არჩევნების საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე იქმნება საარჩევნო პუნქტები.

17. საარჩევნო პუნქტებს ქმნიან არა უგვიანეს 35 დღისა არჩევნებამდე: ქალაქად—მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში—მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სოფლად—მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

18. ქალაქებში, დაბებში, აგრეთვე სოფლებში და იმ სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე, სადაც ითვლება 2.000-ზე მეტი მცხოვრები, საარჩევნო პუნქტები იქმნება ანგარიშით—ერთი საარჩევნო პუნქტი 1.500-3.000 მცხოვრებზე.

19. სასოფლო საბჭოს ტერიტორია, რომლის მოსახლეობა 2.000 კაცს არ აღემატება, როგორც წესი, მიეკუთვნება ერთ საარჩევნო პუნქტს.

თვითეულ სოფელში, რომელშიაც ითვლება 500-დან 2.000-მდე მცხოვრები, იქმნება ცალკე საარჩევნო პუნქტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელში ან სოფლების ჯგუფში, სადაც ითვლება 500-ზე ნაკლები მცხოვრები, მაგრამ არანაკლებ 300-ისა, თუ მანძილი ასეთი სოფლებიდან საარჩევნო პუნქტამდე 10 კილომეტრს აღემატება, შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო პუნქტები.

20. დაშორებულ რაიონებში, სადაც წვრილი დასახლებული პუნქტები სჭარბობენ, შეიძლება მოეწყოს საარჩევნო პუნქტები არანაკლებ 100 მცხოვრებით.

მთიან და მომთაბარო ადგილებში შეიძლება შეიქმნას საარჩევნო პუნქტები 100-ზე ნაკლები მცხოვრებით, მაგრამ არანაკლებ 50-ისა.

21. სამხედრო ნაწილებში და ჯარის შენაერთებში მოეწყობა ცალკე საარჩევნო პუნქტები არანაკლებ 50 და არა უმეტეს 3.000 ამომრჩევლით.

## თ ა ვ ი IV.

## არჩევნების ორგანიზაცია

22. სახალხო სასამართლოების არჩევნებს აწყობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებენ არჩევნების მსვლელობაში ამ დებულების შესრულებას და სწყვეტენ საჩივრებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების არასწორ მოქმედებათა შესახებ.

23. ქალაქად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რაიონებად დაყოფილი ქალაქების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და სოფლად მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ:

ა) რეგისტრაციის წარმოება სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებისა, რომლებიც წამოყენებული არიან საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონისა და ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მომარაგება საარჩევნო პუნქტებისა და სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნებისათვის დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით;

გ) რწმუნებულების დანიშვნა საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად საარჩევნო პუნქტების მიხედვით;

დ) სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების გამორკვევა თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით;

ე) სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად არჩეულთათვის არჩევის მოწმობების გაცემა;

ვ) განხილვა საჩივრებისა საარჩევნო პუნქტებში წარგზავნილ რწმუნებულთა არასწორი მოქმედების შესახებ.

24. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თვითეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების დასათვლელად მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ჰქმნიან დამთვლელ კომისიას 5-7 კაცის შემადგენლობით თვითეულ საარჩევნო ოლქზე.

25. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თვითეული კანდიდატისათვის ყოველ საარჩევნო პუნქტში მიცემული ხმების დასათვლელად მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულთან შეიქმნება დამთვლელი კომისია 5-11 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

## თავი V.

## სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატების წამოყენების წესი

26. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატების წამოყენების უფლება უზრუნველყოფილი აქვთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა საზოგადოებებს: კომუნისტურ პარტიულ ორგანიზაციებს, პროფესიულ კავშირებს, კოოპერაციულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდობის ორგანიზაციებსა და კულტურულ საზოგადოებებს, აგრეთვე საერთო კრებებს მუშებისა და მოსამსახურეებისას—საწარმოებში და დაწესებულებებში, სამხედრო მოსამსახურეებისას—სამხედრო ნაწილებში, საერთო კრებებს გლეხებისას—კოლმეურნეობებში და სოფლებში, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეებისას—საბჭოთა მეურნეობებში.

27. არჩევნებამდე არა უგვიანეს 25 დღისა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომლებმაც წამოაყენეს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატები, ვალდებული არიან რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გისტრაციაში გაატარონ ეს კანდიდატები მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ყველა კანდიდატი, რომელნიც წამოაყენეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა საზოგადოებებმა საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონისა და ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით.

28. საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომლებმაც წამოაყენეს სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატები, ვალდებული არიან წარუდგინონ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატის წამომყენებელი კრების ან სხდომის ოქმი, ხელმოწერილი პრეზიდიუმის წევრების მიერ, პრეზიდიუმის წევრების საცხოვრებელი ადგილის, კანდიდატის წამომყენებელი ორგანიზაციის სახელწოდების, კრების ან სხდომის ადგილისა, დროისა და მონაწილეთა რაოდენობის აღნიშვნით; ამასთანავე ოქმში აღინიშნება კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი წლოვანება, საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა, საქმიანობა.

ბ) სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატის განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში მისი წამომყენებელი ორგანიზაციის სახელით.

29. სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატს შეიძლება კენჭი ეყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში.

30. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უარი სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ორი დღის ვადაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელთა გადაწყვეტილება საბოლოოა.

31. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თვითეული რეგისტრირებული კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, საქმიანობა, პარტიულობა და კანდიდატის წამომყენებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელწოდება ქვეყნდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ არა უგვიანეს 20 დღისა არჩევნებამდე.

32. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ყველა რეგისტრირებული კანდიდატი აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი საარჩევნო ბიულეტენში.

33. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია არა უგვიანეს 10 დღისა არჩევნებამდე დაუგზავნოს ყველა საარჩევნო პუნქტებს საარჩევნო ბიულეტენები.

34. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება სახალხო მოსამართლის არჩევნებისათვის ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისათვის ცალკე, თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით.

35. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება შესაბამისი საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენაზე იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველჰყოფს ყველა ამომრჩეველს.

36. თვითეული ორგანიზაციისათვის, რომელმაც წამოაყენა მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში რეგისტრირებული კანდიდატი, ისე როგორც თვითეული მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია უფლება დაუბრკოლებლად გასწიოს აგიტაცია ამ კანდიდატის სასარგებლოდ კრებებზე, პრესაში და სხვა საშუალებით, თანახმად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 138 მუხლისა.

## თ ა ვ ი VI.

## ხმის მიცემის წესი

37. არჩევნების დღეს თვითეული საარჩევნო ოლქისათვის აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში —სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

არჩევნები მოხდება არასამუშაო დღეს.

არჩევნების დღე ცხადდება არაუგვიანეს 45 დღისა არჩევნებამდე.

38. ამომრჩევლები ხმას აძლევენ არჩევნების დღის დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე ადგილობრივი დროით.

39. არჩევნების დღეს დილის 6 საათზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული საარჩევნო პუნქტში, დამთვლელი კომისიის წევრების თანდასწრებით, ამოწმებს საარჩევნო ყუთებს და დაწესებული ფორმით შედგენილი ამომრჩეველთა სიის არსებობას, რის შემდეგ ხურავს და ლუქავს ყუთებს და იწვევს ამომრჩევლებს ხმის მიცემის დასაწყებად.

ეროვნული

40. თვითეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად, რისთვისაც ცხადდება ხმის მიცემისათვის გამოყოფილ შენობაში. ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემა ხდება საარჩევნო ბიულეტენების ჩაშვებით საარჩევნო ყუთში.

41. საარჩევნო შენობაში გამოიყოფა საგანგებო ოთახები ან მოეწყობა ცალკე კაბინები, რომ ამომრჩევლებმა საარჩევნო ბიულეტენები შეავსონ. ამომრჩევლების მიერ საარჩევნო ბიულეტენების შევსების დროს ამ ოთახში ან კაბინაში აკრძალულია ვისიმე ყოფნა (მათ შორის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულისა და დამთვლელი კომისიის წევრებისა), გარდა ხმის მიმცემისა.

42. საარჩევნო შენობაში ხმის მისაცემად მოსული ამომრჩეველი მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულს ან დამთვლელი კომისიის წევრს წარუდგენს ან პასპორტს, ან საკოლმეურნეო წიგნაკს, ან პროფკავშირის ბილეთს, ან პირადობის სხვა მოწმობას და ამომრჩეველთა სიაში მისი შემოწმებისა და იმავე სიაში სათანადო აღნიშვნის შეტანის შემდეგ, ღებულობს საარჩევნო ბიულეტენს სახალხო მოსამართლის ასარჩევად და საარჩევნო ბიულეტენს სახალხო მსაჯულების ასარჩევად.

43. საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად გამოყოფილ ოთახში ამომრჩეველი თვითეულ საარჩევნო ბიულეტენში სტოვებს სახალხო მოსამართლის და სახალხო მსაჯულების იმ კანდიდატების გვარებს, რომლებსაც იგი ხმას აძლევს, დანარჩენების გვარებს შლის. ამის შემდეგ ამომრჩეველი საარჩევნო ყუთში უშვებს საარჩევნო ბიულეტენებს.

44. ამომრჩეველს, რომელსაც წერა-კითხვის უცოდინარობისა ან რაიმე ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენები, უფლება აქვს მოიწვიოს იმ შენობაში, სადაც საარჩევნო ბიულეტენები ივსება, რომელიმე სხვა ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად.

45. საარჩევნო აგიტაცია საარჩევნო შენობაში ხმის მიცემის დროს არ შეიძლება.

46. საარჩევნო შენობაში წესრიგის დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულს და მისი განკარგულებანი ყველა დამსწრისათვის სავალდებულოა.

47. არჩევნების დღეს, ღამის 12 საათზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული ხმის მიცემას დამთავრებულად აცხადებს და დამთვლელი კომისია იწყებს საარჩევნო ყუთების გახსნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი VII.

## არჩევნების შედეგების გამორკვევა

48. შენობაში, სადაც სწარმოებს საარჩევნო პუნქტის მიხედვით ხმების დათვლა, ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც ეს სპეციალურად ექნებათ დავალებული, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

49. დამთვლელი კომისია ყუთების გახსნის შემდეგ ითვლის ბიულეტენებს, ადარებს ყუთებში ჩაშვებული ბიულეტენების რიცხვს და იმ პირთა რიცხვს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში (ბიულეტენების მიღების დროს ამომრჩეველთა სიაში გაკეთებულ აღნიშვნათა საფუძველზე), და შედარების შედეგები შეაქვს ხმის მიცემის ოქმში.

50. გაუქმებულად ითვლება:

ა) დაუწესებელი ნიმუშის ბიულეტენები;

ბ) სახალხო მოსამართლის არჩევნების ბიულეტენები, რომლებშიც ხმის მიცემის დროს დატოვებულია ერთ კანდიდატზე მეტი.

51. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული ადგენს ოქმს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატებისათვის ამ საარჩევნო პუნქტში ხმის მიცემის შესახებ. ოქმს ხელს აწერენ რწმუნებული და დამთვლელი კომისიის ყველა წევრი.

52. საარჩევნო პუნქტში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ხმის მიცემის დაწყებისა და დამთავრების დრო;

ბ) ამომრჩევლების რიცხვი სიის მიხედვით;

გ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომელთაც საარჩევნო ბიულეტენები მიიღეს;

დ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ხმის მიცემაში;

ე) რიცხვი გაუქმებულად ცნობილი ბიულეტენებისა, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისა ცალკე;

ვ) რიცხვი ბიულეტენებისა, რომლებშიც წაშლილია ყველა კანდიდატის გვარი, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისა ცალკე;

ზ) სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების თვითეული კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი.

53. საარჩევნო პუნქტში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმს რწმუნებული დაუყოვნებლივ უგზავნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

54. ყველა საარჩევნო ბიულეტენი (ცალკე ნამდვილი და ცალკე გაუქმებულად ცნობილი) უნდა დაილუქოს და შესანახად ჩაბარდეს: ქალაქად — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონებად დაყოფილ ქალაქში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, სოფლად — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ევალება — შეინახოს საარჩევნო ბიულეტენები 3 თვის განმავლობაში არჩევნების დღიდან.

55. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საოლქო დამთვლელი კომისიები არკვევენ თვითეულ საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგებს საარჩევნო პუნქტებში წარიგზავნილ რწმუნებულთა მიერ წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე.

ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც ეს სპეციალურად ექნებათ დავალებული, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

56. სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატი, რომელმაც მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ე. ი. იმ ხმების ნახევარზე მეტი, რომლებიც მიცემულია ოლქში და ცნობილია ნამდვილად, არჩეულად ითვლება.

57. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საოლქო დამთვლელი კომისია ადგენს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატებისათვის საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმს სამ ცალად. ოქმს ხელს აწერს დამთვლელი კომისიის ყველა წევრი.

58. საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ამომრჩეველთა საერთო რიცხვი ოლქში;

ბ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომელთაც მიიღეს საარჩევნო ბიულეტენები;

გ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ხმის მიცემაში;

დ) გაუქმებულად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისა ცალკე;

ე) რიცხვი ბიულეტენებისა, რომელშიც წაშლილია ყველა კანდიდატის გვარი, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულების არჩევნებისა ცალკე;

ვ) სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თვითეული კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი.

ეროვნული

59. ხმების დათვლის დამთავრების შემდეგ მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია გაუგზავნოს თვითეულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმის ერთი ცალი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ოქმის მეორე ცალი ერთდროულად ეგზავნება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს.

ოქმის მესამე ცალი, სახალხო სასამართლოს არჩევნების მთელ საქმისწარმოებასთან ერთად, რჩება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში.

60. თვითეულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმის ხელმოწერის შემდეგ მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს არჩევნების შედეგებს და აძლევს სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად არჩეულებს არჩევის მოწმობას, სახალხო მოსამართლედ არჩეულს აძლევს აგრეთვე ამ სახალხო სასამართლოსათვის არჩეული სახალხო მსაჯულების სიას, ხელმოწერილს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ.

61. თუ სახალხო მოსამართლის ვერც ერთმა კანდიდატმა საარჩევნო ოლქში ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და აცხადებს ხელახალ კენჭისყრას იმ ორი კანდიდატისათვის, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. ხელახალი კენჭისყრის დღე დაინიშნება არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ.

62. თუ რიცხვი სახალხო მსაჯულების კანდიდატებისა, რომელთაც მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ნაკლებია ასარჩევი სახალხო მსაჯულების დადგენილ რიცხვზე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იძლევა მითითებას ან ხელახალი კენჭისყრის დანიშვნის შესახებ, ან სახალხო მსაჯულთა რიცხვის შესაბამისი შემცირების შესახებ ამ საარჩევნო ოლქისათვის.

ხელახალი კენჭისყრა, თუ იგი საჭიროდ იქნა ცნობილი, დაინიშნება არა უგვიანეს ორი კვირისა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ. ხელახლა ეყრება კენჭი სახალხო მსაჯულთა იმ კანდიდატების საჭირო რიცხვს, რომლებმაც არჩევნების პირველ ტურში მიიღეს ყველაზე მეტი ხმების რიცხვი.

63. თუ საარჩევნო ოლქში მიცემული ხმების რაოდენობა შეადგენს იმ ამომრჩეველთა რიცხვის ნახევარზე ნაკლებს, რომელთაც ამ ოლქში ხმის მიცემის უფლება აქვთ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი— სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ნიშნავს ახალ არჩევნებს არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა პირველი არჩევნების შემდეგ.

64. სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებისათვის ხელახალი კენჭისყრა, ისევე როგორც ახალი არჩევნები ნაცვლად არანამდვილ არჩევნებად ცნობილისა, მოხდება ამომრჩეველთა სიებით, რომლებიც შედგენილი იყო პირველი არჩევნებისათვის, და ამ დებულების სრულ შესაბამისად.

65. სახალხო მოსამართლის ვადამდე გასვლის შემთხვევაში (ამომრჩეველთა მიერ უკან გამოწვევა, გარდაცვალება, ინვალიდობა და სხვ.) სახალხო მოსამართლის ხელახალი არჩევნები მოეწყობა არა უგვიანეს ორი თვის ვადისა სახალხო მოსამართლის გასვლის დღიდან.

66. თუ სახალხო მსაჯულთა საგრძნობი რიცხვის გასვლის გამო დარჩენილ სახალხო მსაჯულთა რიცხვი არასაკმაო იქნება ამ სახალხო სასამართლოს ნორმალური მუშაობისათვის, მოეწყობა სახალხო მსაჯულების დამატებითი არჩევნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

67. ყველა ის პირი, ვინც ძალადობისა, მოტყუებისა, მუქარისა ან მოსყიდვის გზით ხელს შეუშლის მოქალაქეს განახორციელოს თავისი უფლება—აირჩიოს და არჩეულ იქნას სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

68. თანამდებობის პირი, რომელიც სიყალბეს შეიტანს დოკუმენტებში ან განზრახ არასწორად დაითვლის ხმებს სახალხო სასამართლოების არჩევნების დროს, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

## 26. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახანძრო დაცვის ორგანიზაციის დღიდან 30 წლის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მუშაობაში:

1. ანდღულაძე გიორგი ილიას-ძე—ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელ. რაიონის სახანძრო ინსპექციის უფროსი;
2. ბაქრაძე შოთა მიხეილის-ძე—ქ. თბილისის I გასამხედროებული სახანძრო რაზმის უფროსი;
3. გელიაზაროვი პავლე ივანეს-ძე—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თეთრიწყაროს რაიონული განყოფილების უფროსი სახანძრო ინსპექტორი;
4. დოლონაძე ვალენტინა იოსების ასული—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსი;
5. ვალიშვილი არსენ ილიას-ძე—ქ. ბათუმის XVIII გასამხედროებული სახანძრო რაზმის უფროსის თანაშემწე;
6. ვინოკუროვი ვასილ გიორგის-ძე—ქ. თბილისის V გასამხედროებული სახანძრო რაზმის უფროსი შოფერი;
7. კონონოვი პეტრე სიმონის-ძე—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორი;
8. კოპლატაძე ვალერიან ტარიელის-ძე—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქობულეთის რაიონული განყოფილების უფროსი სახანძრო ინსპექტორი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. მალალურაძე დიმიტრი კონსტანტინეს-ძე—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსი;

10. მარტინოვი მიხეილ გაბრიელის-ძე—ქ. თბილისის V გასამხედროებული სახანძრო რაზმის ათეულის მეთაური;

11. მიქაუტაძე გიორგი გრამიტონის-ძე—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსის თანაშემწე;

12. ნარჩომაშვილი ვარლამ სიმონის-ძე—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსის თანაშემწე;

13. ოქროპირიძე დურსუნ მამუდის-ძე—ქობულეთის სახანძრო რაზმის ყარაულის უფროსი;

14. პაჭკორია ერი ანტონის-ძე—ქ. თბილისის სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი;

15. პოტულოვა ტატიანა ვასილის ასული—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი;

16. როგავა კონსტანტინე მალხაზის-ძე—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს სკოლის უფროსის მოადგილე;

17. შარაშიძე გერმანე გიორგის-ძე—საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფროსი სახანძრო ინსპექტორი;

18. ჩეჩერია კასიანე ლუკას-ძე—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსი;

19. ჩიგილაშვილი გიორგი ერმილეს-ძე—ქ. თბილისის III გასამხედროებული სახანძრო რაზმის ათეულის მეთაური;

20. ხემსუროვი დანიელ შალუმის-ძე—ქ. თბილისის I გასამხედროებული სახანძრო რაზმის ათეულის მეთაურის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1948 წ. 16 აპრილი. ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 27. აბაშის ჰიდროელექტროსადგურის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სოფლის ელექტროფიკაციის ტრესტის აბაშის ჰიდროელექტროსადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემის 20 წლისთავთან დაკავშირებით, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს სოფლის მეურნეობის, სამრეწველო საწარმოებისა და ახალნაგებობათათვის ელექტროენერგიის მიწოდების საქმეში, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ბაჩილავა გერასიმე გიგოს-ძე—აბაშის ჰიდროელექტროსადგურის დირექტორი;
2. ბაჩილავა გრიგოლ ბოშიკას-ძე—სათავო კვანძის მექანიკოსი;
3. ბაჩილავა ელიზბარ ისიდორეს-ძე—აბაშის ჰიდროელექტროსადგურის შეფ-მონტიორი;
4. კვარცხავა კალისტრატე მაქსიმეს-ძე—აბაშის ჰიდროელექტროსადგურის ყოფილი მთავარი ინჟინერი;
5. ლეჟავა ივანე პავლეს-ძე—ელექტროსაამქროს უფროსი ოსტატი;
6. მიქაძე ივანე დავითის-ძე—ელექტროგადაცემის ხაზის ბრიგადირი;
7. ჩხიკვაძე სევერიან ვლადიმერის-ძე—აბაშის ჰიდროელექტროსადგურის მთავარი ინჟინერი;
8. ცაავა ლევან კონსტანტინეს-ძე—ელექტროგადაცემის ხაზის მონტიორი;
9. წოწორია მატრონა ივანეს ასული—სამანქანო შენობის დამლაგებელი;
10. ხელაია ვლადიმერ პლატონის-ძე—მორიგე მემანქანე;
11. ჯანაშია მიხეილ პეტრეს-ძე—სატურბინო საამქროს უფროსი ოსტატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 28 აპრილი. ქ. თბილისი.

### 28. საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება:

1. ავალიანს ევსეი ლუკას-ძეს—ვანის რაიონის სოფ. სალხინოს დაწყებითი სკოლის მასწავლებელს,
2. ამირაგოვას ანა ივანეს ასულს—ქუთაისის ქალთა 10 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. არველაძეს კირილე ივანეს-ძეს—თბილისის სამკერვალო ტექნიკუმის მასწავლებელს,
4. ასათიანს თამარ ლევანის ასულს—თბილისის ვაჟთა 19 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
5. ასლამაზოვს კირიაკ აზარის-ძეს—წალკის რაიონის ხრამჰესთან არსებული 8-წლიანი სკოლის დირექტორს,
6. ასლანიშვილს ელენე ანტონის ასულს—თბილისის სამთო-სამშენებლო ტექნიკუმის მასწავლებელს,
7. ბახტაძეს ალექსანდრა ვასილის ასულს—ქარელის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
8. ბახტაძეს ევგენია საბას ასულს—სამტრედიის რაიონის ეწერის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,
9. ბებურიანს კლიმენტი სპირიდონის-ძეს—ხობის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
10. ბოსტაშვილ-შაბაზოვას ოლღა იოველის ასულს—ლაგოდეხის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
11. გაბილაიას დარია ზურაბის ასულს — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" სტალინის სახელობის მაღაროს დაწყებითი სკოლის მასწავლებელს,
12. გაბლიანს ვერა ალექსის ასულს—თბილისის ვაჟთა 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
13. გარსევანიშვილს ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს—მცხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
14. გარსიაშვილს ბარბარე იასონის ასულს—თბილისის რკინიგზის ვაჟთა 4 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
15. გალდავას ვერა ილარიონის ასულს—თბილისის ვაჟთა 11 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
16. გაბადაძეს შალვა ბესარიონის-ძეს — თბილისის ქალთა 14 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
17. გაბიჩვაძეს არისტაულ ერასტის-ძეს—თბილისის რკინიგზის მოზრდილთა 1 სკოლის მასწავლებელს,
18. გევენიანს ვართან სერგის-ძეს—ახალციხის 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
19. გეგიაძეს სოფიო კონსტანტინეს ასულს—ლანჩხუთის რაიონის ტაბანათის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს,
20. გიორგობიანს ანა ყაფლანის ასულს—ამბროლაურის რაიონის პატარა-ონის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
21. გოგოლაშვილს ნინო ალექსის ასულს—თბილისის ვაჟთა 27 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. გოლდშაიდს ნინო კირილეს ასულს—თბილისის ვაჟთა 14 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
23. გომელაურს თამარ ლევანის ასულს—თბილისის ქალთა 23 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
24. გოცაძეს იოსებ პეტრეს-ძეს—მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
25. გულბანს გერასიმე დევლეთის-ძეს—გურჯაანის რაიონის კახიფარის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს,
26. გულუას მელანია გრიგოლის ასულს—ფოთის ქალთა 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
27. დანელიას ლუდმილა რაჟდენის ასულს—თბილისის ვაჟთა 13 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
28. დვალიშვილს ილარიონ გიორგის-ძეს—ვანის რაიონის სულორის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
29. დევიძეს მარიამ ბესარიონის ასულს—სამტრედიის რაიონის დიდი-ჯიხაიშის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
30. დეკანოზიშვილს ნინო ივანეს ასულს—თბილისის ქალთა 26 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
31. დემეტრაშვილს ვარლამ სპირიდონის-ძეს—ონის რაიონის სევის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,
32. დიდიას ოლღა თომას ასულს—თბილისის რკინიგზის ვაჟთა 4 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
33. ედილაშვილს იოსებ ერმალოზის-ძეს—ქარელის რაიონის ბრეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
34. ელიაშვილ-ბუაჩიძეს თამარ სამსონის ასულს—სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს,
35. ექსანიშვილს გრიგოლ ალექსანდრეს-ძეს—თბილისის რკინიგზის ქალთა 3 სკოლის მასწავლებელს,
36. ზოლოტინსკის ნიკოლოზ პეტრეს-ძეს—ბორჯომის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს,
37. თაბუკაშვილს ნიკოლოზ ეგნატეს-ძეს—თბილისის რკინიგზის მუშა ახალგაზრდობის 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
38. თარხნიშვილს ელისაბედ გრიგოლის ასულს—გორის ქალთა 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
39. თევზაძეს ტიტე იოსების-ძეს—თბილისის ბერიას სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების სკოლების ინსპექტორს,
40. თოდუას ვლადიმერ ვატას-ძეს—გეგეჭკორის რაიონის დიდი-ჭყონის საშუალო სკოლის მასწავლებელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

41. თოლდუას ნიკოლოზ ვასილის-ძეს—ჩხოროწყუს რაიონის თაიას 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,
42. თუშიშვილს მარიამ დავითის ასულს—თელავის რუსული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს,
43. იანსონს ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს—დმანისის რუსული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს,
44. იარიანს ეკატერინე იოსების ასულს—კასპის რაიონის ახალქალაქის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
45. ილაევას სოფიო ზურაბის ასულს—სტალინირის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს.
46. იოანიდის პავლე ხარლამპის-ძეს—თეთრიწყაროს საშუალო სკოლის მასწავლებელს,
47. იორდანიშვილს მარიამ ადამის ასულს—ყვარლის რაიონის შილდის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
48. ისელიანს პოლიკარპე კონსტანტინეს-ძეს—სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს,
49. კალანდაძეს ქსენიდე სერაფიონის ასულს—თბილისის ვაჟთა 4 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
50. კალანდარიშვილს ვასასი მიხეილის ასულს—თბილისის ქალთა 7 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
51. კაპანაძეს კლიმენტი სოფრომის-ძეს—თბილისის რკინიგზის 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
52. კარგარეთელს ევგენი მიხეილის-ძეს—თბილისის სამთო-სამშენებლო ტექნიკუმის მასწავლებელს,
53. კვერნაძეს კონსტანტინე გიორგის-ძეს—წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანევის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს,
54. კვინიკაძეს ლუბა ერმალოზის ასულს—თბილისის ქალთა 23 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
55. კეკელიას ეკატერინე ივანეს ასულს—თბილისის რუსული პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს,
56. კეცბაიას მოსე პეტრეს-ძეს—გალის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,
57. კიკნაძეს ბაგრატ დავითის-ძეს—თბილისის რკინიგზის ქალთა 5 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს,
58. კილასონიას მაკრინე ყარამანის ასულს—თბილისის რკინიგზის ქალთა 4 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
59. კლდიაშვილს ბაბილინა გრიგოლის ასულს—ქუთაისის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს,
60. კოდუას ვერა ივანეს ასულს—ფოთის რკინიგზის საშუალო სკოლის მასწავლებელს,

61. კოკიელოვს ექვთიმე ისაკის-ძეს—თბილისის ქალთა 34 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
62. კონიაშვილს გიორგი გრიგოლის-ძეს—პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს,
63. კორკოტაშვილს მარიამ ნიკოლოზის ასულს—გურჯაანის რაიონის კარდანახის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
64. კრემიანსკაიას ალექსანდრა გაბრიელის ასულს—თბილისის ქალთა 35 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
65. კუხარსკის ნიკოლოზ ეგნატეს-ძეს—საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის მასწავლებელს,
66. ლაბახუას ვლადიმერ გიორგის-ძეს—თბილისის რკინიგზის ქალთა 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
67. ლომკაცს ნინო ილიას ასულს—ახმეტის რაიონის ზემო-ხოდაშენის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს,
68. ლომთაძეს ილია გიგოს-ძეს—ბათუმის ქალთა 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
69. ლორთქიფანიძეს მარიამ ოტიას ასულს—თბილისის ქალთა 12 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
70. მარკოზოვას ელენე ივანეს ასულს—თბილისის ქალთა 34 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
71. მახათაძეს ეკატერინე დიმიტრის ასულს—თბილისის ქალთა 27 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
72. მღებრიშვილს მარიამ იაკობის ასულს—გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
73. მგელაძეს მელიტონ ბაგრატის-ძეს—მახარაძის რაიონის ბახვის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
74. მეკაშვილს იოსებ ანდრიას-ძეს—თელავის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,
75. მელქოევს ალექსანდრე ისაკის-ძეს—დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგეს,
76. მეფარიძეს სოფიო ივანეს ასულს—ჩხარის რაიონის თერჯოლის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
77. მერაბიშვილს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს—თბილისის ქალთა 13 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
78. მიქაძეს ილია ანდრიას-ძეს—აბაშის რაიონის მაიდანის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,

79. მინდელს სტრატონ ერმალოზის-ძეს—ონის რაიონის სორის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
80. მირზოევას ანა მინას ასულს—თბილისის 102 დამხმარე სკოლის მასწავლებელს,
81. მირონოვას ალექსანდრა ივანეს ასულს—ქლუხორის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს,
82. მიტკევიჩს მარინა ივანეს ასულს—თბილისის რკინიგზის ვაჟთა 4 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
83. მურადაშვილს ვლადიმერ ტარიელის-ძეს—ბოლნისის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
84. ნაგიბინოვს ყურბან იუსუფის-ძეს—თბილისის ვაჟთა 31 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
85. ნაიტაკის ნინო პეტრეს ასულს—წყალტუბოს რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს,
86. ნაცვლიშვილს მარიამ ბესარიონის ასულს—თბილისის ქალთა 33 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
87. ნაცვლიშვილს რაჟდენ სოლომონის-ძეს—თბილისის რკინიგზის ვაჟთა 4 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
88. ნიჟარაძეს მარიამ გიორგის ასულს—ქუთაისის რკინიგზის 12 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
89. ნიჟარაძეს ნიკიფორე გაიოზის-ძეს—წყალტუბოს რაიონის მაღლაკის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,
90. ნიკოლაიშვილს ბესარიონ ივლიანეს-ძეს—ბათუმის 20 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
91. ოკუჯავას მარიამ პავლეს ასულს—თბილისის ქალთა 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
92. ორლოვსკაიას ოლღა ვლადიმერის ასულს—ბათუმის ვაჟთა 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
93. პოზნიაკოვს პეტრე ვასილის-ძეს—თბილისის რკინიგზის ტექნიკუმის მასწავლებელს,
94. რობიტაშვილს ელენე თედორეს ასულს—წითელწყაროს რაიონის ზემო-მაჩხაანის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
95. რონიშვილს ეზეკია ბესარიონის-ძეს—ტყიბულის რაიონის ხრესილის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
96. რუხაძეს ოლღა ზოსიმეს ასულს—თბილისის რკინიგზის ვაჟთა 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
97. რიბნოვას ლიდია იურის ასულს—თბილისის ქალთა 8 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

98. საბაშვილს ანა ნიკოლოზის ასულს—თბილისის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს,

99. საყვარელიძეს ნეონილა ანდრიას ასულს—ზესტაფონის რაიონის შორაპნის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,

100. საყვარელიძეს სალომე ნომრევანის ასულს—ჭიათურის 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

101. სანიკიძეს შალვა ონისიმეს-ძეს—საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის მასწავლებელს,

102. სარალიძეს თამარ რაჟდენის ასულს—თეთრიწყაროს რაიონის ბოგვის საშუალო სკოლის მასწავლებელს,

103. სვანაძეს კლავდია პარმენის ასულს—ქუთაისის რაიონის საყულიის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,

104. სვანაძეს ნოე ამბაკოს-ძეს—ქუთაისის ქალთა 10 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

105. სვიმჩევს დიმიტრი პავლეს-ძეს—თბილისის რკინიგზის ქალთა 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

106. სეხნიაშვილს ლუსია სტეფანეს ასულს—თბილისის ვაჟთა 18 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

107. სკვორცოვას ანა ვასილის ასულს—თბილისის ქალთა 16 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

108. სოსელიას ნიკოლოზ მიხეილის-ძეს—სამტრედიის რაიონის დიდი-ჯიხაიშის საშუალო სკოლის მასწავლებელს,

109. სპევაჩევსკაიას სოფიო ივანეს ასულს—ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მასწავლებელს;

110. სტუროვას კონსტანტინე ვასილის-ძეს—სამტრედიის რაიონის კულაშის დაწყებითი სკოლის გამგეს,

111. სულიკაშვილს ნინო ივანეს ასულს—თბილისის ვაჟთა 6 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

112. სულხანიშვილს ელისაბედ იოსების ასულს—თბილისის ქალთა 20 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

113. სულხანიშვილს მინადორა ალექსის ასულს—გორის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს,

114. ტარნავას ელენე ვასილის ასულს—გუდაუთის საშუალო სკოლის მასწავლებელს,

115. ტატუნაშვილ-ლიაშჩენკოს ელენე ალექსანდრეს ასულს — დუშეთის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს,

116. ტყავაძეს მართა დავითის ასულს—სიღნაღის ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს,

117. ტყებუჩავას ვლადიმერ კონსტანტინეს-ძეს—ზუგდიდის ვაჟთა საშუალო სკოლის მასწავლებელს,

118. ტურსკის მიხეილ სტეფანეს-ძეს—გუდაუთის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორს,

119. უგულავას გრიგოლ ესტატეს-ძეს—წულუკიძის რაიონის ნახახულევის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,

120. ურუსოვს მუსე აგის-ძეს—სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტბეთის 8-წლიანი სკოლის დირექტორს,

121. ფეოდოროვას კლავდია ალექსანდრეს ასულს—თბილისის ქალთა 39 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

122. ფალავას ანტონინა დავითის ასულს—თბილისის ქალთა 5 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

123. ფაცაციას მაქსიმე ვასილის-ძეს—სოხუმის რაიონის წითელბესლეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს;

124. ფეიქრიშვილს სუსანა ალექსის ასულს—დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის 26 კომისრის სახელობის რაიკომის თავმჯდომარეს,

125. ფიფიას ნინო ბახვას ასულს—თბილისის ქალთა 9 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

126. ფირცხალავას ლიდია ესტატეს ასულს—თბილისის ვაჟთა 29 საშუალო სკოლის მასწავლებელს;

127. ფურცელაძეს მარიამ დავითის ასულს—თბილისის ქალთა 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

128. ქავთარაძეს ივანე პავლეს-ძეს—თბილისის ვაჟთა 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

129. ქავთარაძეს ნინო პეტრეს ასულს—ფოთის ვაჟთა 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

130. ქაჯაიას გრიგოლ ალექსანდრეს-ძეს—სამტრედიის რკინიგზის ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს,

131. ქარსიძეს დარია გიორგის ასულს—გორის რაიონის ზერტის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,

132. ქარცივაძე-ფურცელაძეს ივლიტა ანტონის ასულს—თბილისის ქალთა 8 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

133. ქინქლაძეს ნადეჟდა ალექსანდრეს ასულს—თბილისის ვაჟთა 14 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

134. ქოჩარიანს მარგარიტა სიმონის ასულს—თბილისის ქალთა 3 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს,

135. ქუმსიშვილს იოსებ დიმიტრის-ძეს—თბილისის ნავთის ტექნიკუმის მასწავლებელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

136. ქუთათელაძეს ეკატერინე სამსონის ასულს—ხულოს ქალთა პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს,

137. ქუთათელაძეს ილარიონ ნიკოლოზის-ძეს—წულუკიძის რაიონის ივანდიდის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,

138. ღვალაძეს ელეფთერ ზაქარიას-ძეს—ჭიათურის რაიონის მორძგვეთის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს,

139. ყარანგოზიშვილ-მოლოსტოვას მერი ვლადიმერის ასულს—დუშეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს,

140. ყიფიანს ბარბარე რაჟდენის ასულს—გორის ქალთა 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

141. შავდიას ბაბილინა ყარამანის ასულს—თბილისის ქალთა 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

142. შავდიას ქეთევან ყარამანის ასულს—თბილისის ქალთა 34 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

143. შარაძენიძეს კლიმენტი მიხეილის-ძეს—თბილისის წითელდროშოვანი სამთო-საარტილერიო სასწავლებლის მასწავლებელს,

144. შარიას დიმიტრი ბიდიგოს-ძეს—გალის რაიონის ახალ-ბარგების საშუალო სკოლის მასწავლებელს,

145. შელემეტიევას ნეონილა დიმიტრის ასულს—ახალციხის 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

146. შელიას იაკობ უტუტის-ძეს—გულრიფშის რაიონის ვარჩის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,

147. შენგელიას ვერა პავლეს ასულს—თბილისის რკინიგზის ქალთა 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

148. შერმერევიჩს ნიკოლოზ გრიგოლის-ძეს—გუდაუთის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს,

149. ჩარკვიან-ბეჟუაშვილს ელისაბედ მინას ასულს—ქუთაისის ვაჟთა 9 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

150. ჩიგოგიძეს ირაკლი იოსების-ძეს—აბაშის რაიონის მარნის საშუალო სკოლის მასწავლებელს,

151. ჩიკვატიას ანდრია პეტრეს-ძეს—გალის საშუალო სკოლის მასწავლებელს,

152. ჩიტაიშვილს მარიამ ივანეს ასულს—თბილისის ქალთა 8 საშუალო სკოლის დირექტორს,

153. ჩიტაევს ვასილ ნიკოლოზის-ძეს—თბილისის სამხედრო საჰაერო ძალთა სპეციალური სკოლის მასწავლებელს,

154. ჩომახიძეს ოლღა გერასიმეს ასულს—თბილისის ქალთა 23 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

155. ჩხეიძეს თამარ ტარასის ასულს—სამტრედიის რკინიგზის საშუალო სკოლის მასწავლებელს,

156. ჩხიკვიშვილს ოლღა თომას ასულს—ბათუმის პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორს,

157. ცვეტოვას ლუბა ვასილის ასულს—თბილისის ქალთა 8 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

158. ციციშვილს ნადეჟდა ილიას ასულს—ხაშურის ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელს,

159. წერეთელს ეკატერინე იოსების ასულს—ჭიათურის რაიონის ითხვისის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,

160. წერეთელს ეკატერინე ნიკოლოზის ასულს—თბილისის ვაჟთა 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

161. ჭავჭავაძეს აგრაფენა ალექსის ასულს—თბილისის ქალთა 12 საშუალო სკოლის დირექტორს,

162. ჭარხალაშვილს დავით ექვთიმეს-ძეს—თბილისის ვაჟთა 36 საშუალო სკოლის დირექტორს,

163. ჭიპაშვილს ლეონტი დავითის-ძეს—ორჯონიკიძის საშუალო სკოლის მასწავლებელს,

164. ჭითავას ნესტორ პეტრეს-ძეს—თბილისის ქალთა 44 საშუალო სკოლის მასწავლებელს;

165. ხარატიშვილს ნატალია დავითის ასულს—ორჯონიკიძის რაიონის ლოშის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,

166. ხასაიას ოლღა ივანეს ასულს—გუდაუთის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს,

167. ხათრიძეს ნინო სტეფანეს ასულს—ქუთაისის ვაჟთა 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

168. ხამბას ნესტორ მათეს-ძეს—ოჩამჩირის 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

169. ხითარიშვილს ალექსანდრე პავლეს-ძეს—ახალციხის რაიონის ვალეს საშუალო სკოლის მასწავლებელს,

170. ჯავახიშვილს მარიამ ივანეს ასულს—თბილისის რკინიგზის ქალთა 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს,

171. ჯაყელს ელენე ბარნაბის ასულს—ჩოხატაურის საშუალო სკოლის მასწავლებელს,

172. ჯანაშვილს დავით მოსეს-ძეს—თბილისის საფეიქრო ტექნიკუმის მასწავლებელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

173. ჯანჯღავას სპირიდონ ჯარუს-ძეს—ზუგდიდის რაიონის ნარაზენის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,
174. ჯარიაშვილს მარიამ პავლეს ასულს—თბილისის ქალთა 6 საშუალო სკოლის მასწავლებელს,
175. ჯიჯიხიას ნინო ვასილის ასულს—ჩხოროწყუს რაიონის კიცხის საშუალო სკოლის მასწავლებელს,
176. ჯიმშელეიშვილს სერაფიონ ნიკოლოზის-ძეს — წყალტუბოს რაიონის ცხუნკურის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელს,
177. ჯორჯაძეს მარიამ სიმონის ასულს—თბილისის ვაჟთა 15 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 5 მაისი. ქ. თბილისი.

**39. ხელოვნების მუშაკთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება:

1. ბერიაშვილს მიხეილ იოსების-ძეს
2. იაკოვლევას ანტონინა სიმონის ასულს
3. ლობანოვს ვასილ ვასილის-ძეს
4. მოსეშვილს ნიკოლოზ ამბაკოს-ძეს
5. რამიშვილს ნინო შალვას ასულს
6. სმოროდინცევს სერგი მიხეილის-ძეს
7. ყიასაშვილს ალექსანდრე ზაქარიას-ძეს
8. შაპოშნიკოვს ვლადიმერ ივანეს-ძეს
9. ჩარკვიანს თინა დავითის ასულს
10. ხუციშვილს დავით სამსონის-ძეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1948 წ. 16 ივლისი. ქ. თბილისი.

1984



ეროვნული ბიბლიოთეკა

**30. დიმიტრი მიხეილის-ძე კოსარიკისა და ათანასე ლუკას-ძე მალიარის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

უკრაინელი მწერალი დიმიტრი მიხეილის-ძე კოსარიკი — ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დავით გურამიშვილის საფლავის ადგილის გამორკვევისათვის, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი მასალების დამუშავებისათვის;

უკრაინის სსრ ქალაქის მირგოროდის მცხოვრები ათანასე ლუკას-ძე მალიარი — დავით გურამიშვილის საფლავის ადგილის გამორკვევისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1948 წ. 28 ივლისი. ქ. თბილისი.

---

**სარედაქციო კოლეგია**

**გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ., მთავრობის სახლი.

Ведомости Верховного Совета
Грузинской Советской Социалистической Республики
№ 1-2 (14—15) ноябрь 1948 г.
(на грузинском языке)

ИЗДАНИЕ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГССР.

ფასი 2 მან. 80 კაპ.

სტამბის შეკვ. № 1317 ტირაჟი 2000. უე 10444.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ., № 14